

ყვარლი

გამოცემის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი



გერმანულენოვანი გამოცემა „შპიეგელ ონლინე“, საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან ინტერვიუს აქვეყნებს, რომელიც მას ჟურნალისტმა მარკუს ბეკერმა ჩამოართვა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუს-პრესი“ გთავაზობთ მასალის თავისუფალ თარგმანს:

48 წლის გიორგი კვირიკაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრად 2015 წლის 30 დეკემბერს დაინიშნა, მანამდე კი ჯერ ეკონომიკის, შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობდა. სპეციალობა — მედიკოსი და და ეკონომისტი. გარდა ამისა, მან ეკონომიკის ცოდნა აშშ-შიც გაიღრმავა. გიორგი კვირიკაშვილის მიზანია საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანება (რასაც შეიძლება რუსეთთან ურთიერთობის გაუარესებამ მოახდინოს).

დასავლეთში როცა რუსეთზე ლაპარაკს იწყებენ, უმეტესად საუბრობენ ხოლმე მოსკოვის აგრესიულ მოქმედებაზე უკრაინასა და სირიასში. 2008 წლის ზაფხულში მომხდარი საქართველო-რუსეთის ხუთდღიანი ომი ცოტას თუ ახსენებდა, თუმცა სწორედ მაშინ შეიქმნა ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის მოდელი: რუსეთმა ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა, მაგრამ ოფიციალურ ანექსიაზე არავინ ლაპარაკობს.

ამ ნაბიჯების უკან მოსკოვის სტრატეგია მოჩანს, რომელიც გავლენის სფეროს შენარჩუნება-გაფართოებას ითვალისწინებს. საქართველო ნატოსა და ევროკავშირისაკენ ისწრაფვის, რაც 2008 წლის ომის მიზეზებად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან კონფლიქტი უკვე მიზუტულ-მიწინაველებულია, საქართველოს პერსპექტივა მაინც ნათლად გარკვეული არ არის: ნატო პრინციპულად არ ღებულობს მოუგვარებელი კონფლიქტების მქონე სახელმწიფოს, რადგან ბრიუსელს რუსეთთან დაპირისპირების ესკალაცია არ სურს. გარდა ამისა, ევროკავშირი სკეპტიკურადაა განწყობილი აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიმართ, მათი არასოლიდარული მოქმედების გამო [ახლო აღმოსავლეთი] ლტოლვილებისა და ეროვნული მოძრაობის მიმართ.

„შპიეგელ“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველო პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი განმარტავს, [თუ რატომ სურს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრიანება] და როგორ უნდა წაიყვანოს მან საქართველო დასავლური კურსით.

— **ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენ გინდათ, რომ საქართველო ნატოში და ევროკავშირში გააწევრიანდეს?**

გიორგი კვირიკაშვილი: რუსეთმა ჩვენს სუვერენიტეტს პატივი უნდა სცეს

ანოთ. რატომაა ეს მნიშვნელოვანი თქვენი ქვეყნისათვის?

— კულტურის თვალსაზრისით საქართველო ყოველთვის ევროპული ქვეყანა იყო. ევროპა საქართველოსთვის სახლია. გარდა ამისა, საქართველო, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში მდებარეობს, ევროპას ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს. ირანისათვის სანქციების მოხსნა კი ევროპისა და საქართველოსთვის ახალ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს აჩვენებს.

— **ლტოლვილებთან დაკავშირებით შექმნილ კრიზისში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავიანთ დასავლელ პარტნიორებთან და მინცდამიანც დიდი სოლიდარობა არ გამოუჩენიათ, არადა, ისინი კარგად სარგებლობენ ევროკავშირის ქვეყნებში (შენგენის ზონაში) თავისუფალი გადაადგილების უფლებებით. ამასთან ერთად, ბევრი მიიჩნევს, რომ აღმოსავლეთ ევროპისათვის ევროკავშირი უმეტესად მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის ზონითაა საინტერესო, უფრო ნაკლებად კი — საერთო ფასეულობებით. მაშ, რატომ უნდა მიიღოს დასავლეთმა კიდევ ერთი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა ევროკავშირში?**

— მე სწორედ ამიტომ ვუსვამ ხაზს საქართველოსა და ევროპის შორის არსებულ ისტორიულ კულტურულ კავშირებს. მსოფლიო ბანკი (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი) ადასტურებს საქართველოს მიღწევებს აზრის თავისუფლად გამოხატვის, სიტყვისა და ბექდვის თავისუფლების სფეროში, ადასტურებს სტაბილურობასა და კანონმდებლობის მაღალ დონეს. გაეროს მოხსენებაც ადამიანის უფლებათა დაცვის თაობაზე იგივე დადებით ტენდენციას გამოხატავს. ეს გვაძლევს იმის თქმის ნებას, რომ ჩვენ ევროპას

უპირველესად ფასეულობების საფუძველზე ვუახლოვდებით.

— **მას შემდეგ, რაც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ (რომელსაც თქვენც მიეკუთვნებით) 2012 წელს საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ სასამართლო პროცესები დაიწყო. კრიტიკოსებმა ეს „ჭინკებზე ნადირობად“ მონათლეს...**

— წინა ხელისუფლების დროს ადამიანის უფლებების დაცვის დონე სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. საპრობლემატი 300 ათასმა ადამიანმა გამოიარა ოთხმოციწიანი ქვეყანაში. დღევანდელ მთავრობას ყოფილი სახელმწიფო ჩინოვნიკების მიმართ აღძრული საქმეების გამო აკრიტიკებენ. მე პირადად არ მიხარია, რომ ადამიანი გისოსებში იჯდეს, მაგრამ სახელმწიფოში კანონის უზენაესობა უნდა ბატონობდეს.

— **ამას წინათ ბრიუსელში თქვენი ყოფნის დროს ევროსაბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი ხაზს უსვამდა, რომ საქართველოში სისხლის სამართლებრივი დევნა „მტკიცებულებებს უნდა ეფუძნებოდეს, გამჭვირვალე და ობიექტური უნდა იყოს“.** სამართლებრივ სახელმწიფოში ეს თავისთავად იგულისხმება...

— მე დონალდ ტუსკის ნათქვამი კრიტიკად კი არ აღვიქვი, არამედ ჩვენი პარტნიორის სურვილად — პარტნიორისა, რომელიც სერიოზულად უყურებს საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესს. ვფიქრობ, ჩვენს პარტნიორებს თავისუფლად შეუძლიათ დარწმუნდნენ იმაში, თუ როგორი ტენდენციაა, საით და როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. ჩვენ დიეალურები არ ვართ, მაგრამ სიტუაციის მუდმივი გაუმჯობესების პროცესი აშკარაა.

— **საქართველოს ნატოში გაწევრიანება სურს, თუმცა ჩრდილოატ-**

ლანტიკურ ალიანსს თავის რიგებში მოუგვარებელი კონფლიქტების მქონე სახელმწიფოს მიღება არ შეუძლია — 2008 წლის კავკასიური ომის დროს რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა და იქ სამხედრო ბაზები შექმნა. ამიტომაც საფრანგეთს და გერმანიას სრული უფლება აქვთ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე უარი გამოუცხადონ...

— მართლაც ბრძანებთ, რომ საქართველო თავისი სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილს ვერ აკონტროლებს, მაგრამ მიმართა, რომ ეს ნატოში გაწევრიანებისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ნატოში ჩვენი მიღებისათვის ალიანსის ყველა წევრის აუცილებელი თანხმობაა საჭირო და ვიცით, რომ რამდენიმე წინააღმდეგია, თუმცა ჩვენ ალიანსთან თანამშრომლობას მაინც ვაგრძელებთ. ნატოს სრულფასოვანი წევრობა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მიზანია.

— **განა ეს რუსეთთან ურთიერთობაში დამატებით სიძნელეებს არ შეიქმნობ?**

— არა მგონია, ჩვენი ნატოში გაწევრიანების სწრაფვა რუსი პოლიტიკოსების მიერ მტრულ მოქმედებად იქნეს განხილული. ჩვენ დინტერესებული ვართ, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი სტაბილური იყოს. ნატოში გაწევრიანება სწორედ სტაბილურობისათვის გვჭირდება და არა მტრობისა და სამხედრო მოქმედებებისათვის. რუსეთი და საქართველო ასწლებულეების განმავლობაში ერთმანეთის შეზობლები ვართ, ჩვენ შევძლებთ ურთიერთობის გამჭვირვალეობას. ამასთან, რუსეთმა პატივი უნდა სცეს ჩვენს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. გარდა ამისა, სუვერენიტეტი იმასაც ნიშნავს, რომ საქართველოს აქვს არჩევანის უფლება შეუერთდეს და განწევრიანდეს მისთვის სასურველ კავშირში, ნატოს ჩათვლით.

დავასუფთავოთ საქართველო (ლურჯი ნაკადული)



22 მარტი წყლის დაცვის საერთაშორისო დღეა. რომელიც მსოფლიოს მასშტაბით 1993 წლიდან აღინიშნება და მის ფარგლებში მრავალი გარემოსდაცვითი აქტივობები და ღონისძიებები ტარდება. წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე საქართველოშიც აღინიშნება.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

იველი გვაქვს, წინ საინტერესო ტურისტული სეზონი გველის

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს მისიაა: გაზარდოს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე, უზრუნველყოს ქვეყანაში როგორც შემოყვანის, ისე შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება, ხელი შეუწყოს ტურიზმის ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, გაზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე, უზრუნველყოს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია და ძლიერი ბრენდის ჩამოყალიბება. ამ მიზნით, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში ჩამოყალიბდა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი. მათ შორის ყვარელშიც.

არაერთხელ გვისაუბრია კახეთის, როგორც დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე რეგიონის შესახებ, სადაც ყვარელი და მისი შემოგარენი ერთერთი გამორჩეული ადგილია. „ხოლო ქვეყანა ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა... ხოლო კაცნი და ქალნი შვენიერი, ჰაეროვანი, ამაყნი, მეხობ-



ბენი, დიდმტემენი, მეჩხუბარნი, შემმართველნი.“... /ვახუშტი ბაგრატიონი/

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა. მას ორ ნაწილად ჰყოფს ცივ-გომბორის ქედი, საიდანაც დასავლეთით ივრის, აღმოსავლეთით კი ალაზნის ველის იშვიათი ბუნებრივი სანახაობა იშლება, ხოლო მისი ბუნებრივი ლანდშაფტის მრავალფეროვნების დამაგვირგვინებელია ლაგოდეხის, ვაშლოვანის, თუშეთის, ბანარა-ბაბანურის ნაკრძალები.

იგი, მდიდარი ისტორიული ძეგლებით, სადაც განთავსებულია საქართველოში არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების 2/3, მათ შორისაა: ძველი შუამთის (V-VII სს.) და ახალი შუამთის (XVI ს.) მონასტრები, იყალთოს სამონასტრო კომპლექსი (XI-XII სს.), ბახტრიონის ციხე-გალავანი (XII ს.), ალავერდის ანსამბლი (XI ს.), მატნის ცხრაკარის მონასტერი (V ს.), გრემის მთავარანგელოზის ტაძარი (1565 წ.),

გაგრძელება მე-8 გვ.-ზე

რა პირობებით მოქცევა მინეო სსსკლმნიფო საკუთრებაში

რას გულისხმობს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა



სოციალურ ქსელში ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრისა და ეკონომიკური განათლებისა და სტრატეგიული კვლევის ცენტრის მიერ ერთობლივად შემუშავებული მცირე ვიდეორგოლი გამოჩნდა, სადაც მთავარი აქცენტები კერძო საკუთრების ფორმირებაზეა გაკეთებული, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა სასოფლო-სამეურნეო მიწებია. მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტით, თუ პიროვნებს მინაზე მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ ექნება, მისი მინა სახელმწიფო საკუთრებაში მოექცევა. ამ თემაზე კომენტარი „კომერსანტმა“ პროექტის და იდვის ერთ-ერთი თანაავტორსა და ცენტრის წარმომადგენელს, ქეთევან კრიალიაშვილს სთხოვა.

— რამდენად მართებულია აღნიშნული ინიციატივა და რა დადებითი და უარყოფითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს? ასევე ნაციონალურმა მოძრაობამ წარადგინა ალტერნატიული მოდელი და მას როგორ აფასებთ?

— მინები, რომლებიც არ არის კერძო საკუთრებაში, ითვლებოდა და დღესაც ითვლება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მინებად. აქ ჩვენთვის რაიმე სიახლეს ვერ ვხედავ. აუცილებელია მინების დიდი ნაწილის გადასვლა კერძო საკუთრებაში! თუმცა იმისთვის რათა ეს მოხდეს, აუცილებელია არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ამ პროექტში არ ჩანს. შესაბამისად, ახლაც და ადრე წარდგენილ კანონპროექტებში არსებულმა ხარვეზებმა გამოიწვია ის უკმაყოფილება, რომელიც დღეს მოსახლეობაში არსებობს. პროცედურულად ვერ ხორციელდება მფლობელობაში არსებული მინების საკუთრებაში ფორმირება. აღნიშნული მოდელის დახვეწაც რომ მოხდეს, ამ ფორმით, შეუძლებელი იქნება მინების კერძო საკუთრებით ფორმირება, ამიტომაც ალტერნატიული მოდელი შევიშლავთ, რომელსაც საზოგადო და ფართო განხილვებს მოიცავს და შესაბამისად მისი სამთავრობო დონეზე წარდგენაც იგეგმება.

— ფაქტია, რომ გლეხები გარკვეულ მინებს აქამდეც იყენებდნენ...

— დიახ, ეს ასეა, მაგრამ სამწუხაროდ ბევრ ასეთ მინაზე არავითარი საკუთრებ-

ის და მამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს. შესაბამისად ისინი კერძო საკუთრებად ვერ ჩათვლება.

— რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ ამ მინების დასაკუთრებისთვის?

— ჩვენს მიერ შემუშავებული გეგმა, ვფიქრობ იდეალურია და ამ პრობლემას ძალიან სწრაფად წვევს. სახელმწიფო ქონების უფასო განკერძოების პოლიტიკის პარალელურად, თითოეულ სოფელს ეძლევა უფლება გამოაცხადოს დახურული აუქციონი. ამ დახურულ აუქციონებზე, ოჯახები შეძლებენ თავიანთი სასურველი (მფლობელობაში, მაგრამ არა კერძო საკუთრებაში არსებული) მინების ყიდვას. ამისთვის ისინი გამოიყენებენ არა ჩვეულებრივ ფულს, არამედ გამოიყენებენ მთავრობის მიერ ნაჩუქარ „ინვესტებს“.

— მოცემული „ინვესტები“ უფასოდ ურიგდებათ მოქალაქეებს?

— დიახ, პილოტი გრძელდება 18 თვის განმავლობაში. ამ პერიოდში, თვეში ერთხელ თითოეული მოქალაქე იღებს 1000 „ინვესტს“ საჩუქრად. დახურული სოფლის აუქციონები იქნება პარალელური პროცესი. ღია აუქციონებზე კი, თითოეულ თვეს გავა შესაბამისი ქონება.

— კონკრეტულად რა ქონებაზეა საუბარი?

— ყოველთვიურად უფასოდ განკერძოვდება ღია აუქციონებზე 1800 მინის ნაკვეთი, 540 შენობა-ნაგებობა, 16 საბადოს აქციები (ყოველ თვე გარკვეული პროცენტული ნაკვეთი), 34 სახელმწიფო კომპანიის აქციები.

— პრობლემური მინების დასაკუთრება რატომ გადაწყვიტეთ დახურული აუქციონებით?

— ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ადამიანები დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ ამ მინას. დახურულ აუქციონებზე მათ არ მოუწევთ კონკურენციაში შესვლა მთელი ქვეყნის მოქალაქეებთან. რაც ვთვლით რომ სამართლიანია!

— თვლით რომ ეს პროცესი 18 თვეში დამთავრდება?

— პრობლემური მინების დარეგისტრირება და მისი კერძო საკუთრებაში უმტკივნეულოდ გადასვლა ამ პერიოდში აუცილებლად დამთავრდება.

ომერსანტი. გე

„მცირემინიან ფერმერთა 2016 წლის საბაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ მოსარგებლის (პინეფიციარის) ინსტრუქცია

მცირემინიან ფერმერთა 2016 წლის საბაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“-ს მოსარგებლები (ბენეფიციარები) არიან: *ფერმერები, რომელთა საკუთრებაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ჯამური ფართობი არ აღემატება 1,25 ჰა-ს.

*ფერმერები, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და აქვთ მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთი(ებ), რომელთა ფართობების ჯამი არ აღემატება 1.25 ჰა-ს.

ამავე დროს, ფერმერთა საკუთრებაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 5 ჰა-ს.

პროექტის ფარგლებში მოსარგებლები მიიღებენ სუბსიდიას სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათის ან „აგრო ბარათზე“ დარიცხული ქულების სახით.

პროექტის მოსარგებლების კატეგორიები და შესაბამისი სარგებელი

1.მოსარგებლებს, რომელთაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25 ჰა-მდე ჯამური ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი: „აგრო ბარათზე“ დაერიცხება 50 ქულა.

2.მოსარგებლებს, რომელთაც საკუთრებაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25 ჰა-დან-1,25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელსაც იყენებენ ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად: გადაეცემათ ნაკვეთის ფართობის პროპორციული ღირებულების სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათი, 1 ჰექტარზე 140 ლარის გადაანგარიშებით.

3.მოსარგებლებს, რომელთაც საკუთრებაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25 ჰა-დან-1.25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელზეც გაშენებული აქვთ მრავალწლიანი კულტურების ნარგავები და არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურების ნარმოგებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი: „აგრო ბარათზე“ დაერიცხებათ ნაკვეთის ფართობის პროპორციული ქულების რაოდენობა 1 ჰექტარზე 140 ლარის გადაანგარიშებით.

ხვნის ბარათი

ხვნის ბარათი გამოიყენება ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთზე ხვნის სამუშაოების მისაღებად. ბარათის მეშვეობით მოსარგებლებს ხვნის სამუშაოების მომსახურების მიღება შეუძლიათ სამუშაოს შემსრულებლებისგან. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ მოსარგებელთა სიები და ხვნის ბარათები გადასცა გამგებლის წარმომადგენლებს. გამგებლის წარმომადგენლები ვალდებული არიან პროექტით მოსარგებლებს გადასცენ მათი კუთვნილი ხვნის ბარათი და აუხსნან ხვნის ბარათით სარგებლობის წესები. ხვნის ბარათის მიღება მოსარგებლებს უნდა დაადასტუროს ხელმოწერით პერსონალიზირებულ რეესტრში, რომელიც წარმოადგენს გამგებლის წარმომადგენლის მიერ მოსარგებელზე ბარათის გადაცემის დამადასტურებელ მიღება-ჩაბარების აქტს.

ხვნის ბარათის დაბრუნების შესაძლებლობა

გარკვეულ შემთხვევებში მოსარგებლებს შეუძლიათ ხვნის ბარათის დაბრუნება სააგენტოში, რათა ამ ბარათით გათვალისწინებული

სარგებლის ექვივალენტი ქულების რაოდენობა მას დაერიცხოს „აგრო ბარათზე“.

ეს ხდება შემდეგი შემთხვევების დროს (თითოეულ შემთხვევას გააჩნია შესაბამისი კოდი და განმარტებები, რომელიც ასევე დატანილია სახნავ ბარათზე).

კოდი 2 — მოსარგებლის მიწის ფართობი ვერ მუშავდება ტექნიკური მიზეზების გამო. მათ შორის: 1) არცერთი მიწის ნაკვეთის ფართობი არ აღემატება 0,25 ჰა-ს;

2) მოსარგებლის ნაკვეთი წარმოადგენს: ქვიან ნიადაგს, დამრეც მიწის ფართობს, სათბო მიწის ფართობს, საძოვარს, დამყნარლ მიწის ფართობს.

3) მოსარგებლის მიწის ნაკვეთზე მდებარეობს რაიმე ნაგებობა, რაც ხელს უშლის ტექნიკის მუშაობას.

კოდი 3 — ბარათი დაუბრუნდა სააგენტოს გამოსაცემელად, რადგანაც მოსარგებლის მიწის ნაკვეთი უკვე დამუშავებულია და არ საჭიროებს ნიადაგის მოხვნას.

კოდი 6 — უამინდობის გამო ვერ მოხერხდა ნიადაგის აგროვადება მოხვნა.

ბარათის სააგენტოში დასაბრუნებლად გამგებლის წარმომადგენელმა ბარათზე გამოყოფილ სპეციალურ ველში უნდა ჩანეროს ბარათის დაბრუნების მიზეზის შესაბამისი კოდი და დადასტუროს როგორც თავისი, ასევე მოსარგებლის ხელმოწერით და სპეციალური ბეჭდით.

თუ მოსარგებელე უარს ამბობს ბარათის მიღებაზე (კოდი 5) მაშინ მოსარგებელს ხვნის ბარათი უუქმდება და ქულები „აგრო ბარათზე“ არ დაერიცხება.

ბარათის საბაზაფხულო დაბრუნების გოლო ვადაა 2016 წლის 15 ნოემბერი

ასევე ხვნის ბარათი შეიძლება გამოიცვალოს, თუ ის მოსარგებელზე გადაცემის შემდგომ დაზიანდა ან დაიკარგა:

ა) თუ ბარათი მოსარგებელზე გადაცემის შემდგომ დაზიანდა, მოსარგებელე უნდა მიმართოს გამგებლის წარმომადგენელს და მიანდოს ახსნა-განმარტებითი წერილი, დაზიანებული ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. გამგებლის წარმომადგენელი აღნიშნულ ჩამონათვალს მიანვდის სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.

ბ) თუ ბარათი მოსარგებელზე გადაცემის შემდგომ დაიკარგა, მოსარგებელე უნდა მიმართოს გამგებლის წარმომადგენელს და მიანდოს ახსნა-განმარტებითი წერილი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მოსარგებლის მიერ ბარათის დაკარგვის შესახებ პოლიციაში შეტანილი განცხადების ასლი. გამგებლის წარმომადგენელი აღნიშნულ ჩამონათვალს მიანვდის სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.

ხვნის ბარათის წარმომადგენელზე გადაცემა

იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებელე გარკვეული მიზეზების გამო შეზღუდულია გამოიყენოს ხვნის ბარათი ან ფიზიკურად არ იმყოფება ადგილზე ნიადაგის ხვნის პროცესის დროს, მას აქვს უფლება ერთჯერადად გადასცეს კუთვნილი ხვნის ბარათი მის წარმომადგენელს (სახეზე, გვარი, პირადი ნომერი) უნდა შეივსოს ბარათზე სპეციალურად გამოყოფილ ველზე, რასაც სპეციალური ბეჭდით და ხელმოწერით ადასტურებს გამგებლის წარმომადგენლის პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) უნდა შეივსოს ბარათზე სპეციალურად გამოყოფილ ველზე, რასაც სპეციალური ბეჭდით და ხელმოწერით ადასტურებს გამგებლის წარმომადგენელი.

ნიადაგის ხვნის სამუშაოების შესრულება

„მცირემინიან ფერმერთა 2016 წლის საბაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ ითვალისწინებს ბენეფიციარის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მოხვნას 2016 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით. თითოეულ სოფელში ხვნის სამუშაოების ჩატარების გარდა, ტექნიკური იქნება გამგებლის წარმომადგენლისთვის. იგი ვალდებულია კოორდინაცია გაუწიოს და გააკონტროლოს სამუშაოების შემსრულებლების მიერ განეული ხვნის სამუშაოების პროცესი. ნიადაგის ხვნის მომსახურების მიღებისას, მოსარგებელე ან მოსარგებლის წარმომადგენელი და სამუშაოს შემსრულებელი, ვალდებული არიან ხვნის ბარათზე გამოყოფილ სპეციალურ ველში ხელმოწერით დადასტუროს ხვნის სამუშაოების შესრულება, რასაც ასევე სპეციალური ბეჭდით და ხელმოწერით ადასტურებს გამგებლის წარმომადგენელი.

„აგრო ბარათი“

„აგრო ბარათი“ არის საბანკო ბარათი, რომლის ალბაც პროექტის მოსარგებლებს შეუძლიათ „ლიბერთი ბანკ“-ს ნებისმიერ ფილიალში „აგრო ბარათზე“ ჩარიცხვით პროექტის ფარგლებში მოსარგებლისთვის განკუთვნილი სარგებლის ღირებულების შესაბამისი ქულები (1 ქულა უდრის ერთ ლარს). აგრო ბარათზე დარიცხული ქულების მეშვეობით მოსარგებელს შეუძლია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის (სასუქი, სათესლე მასალა, საწარგე მასალა და მცენარეთა მოვლა-დაზრუნვის საშუალებები) შეძენა მოწოდებისას. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ „აგრო ბარათი“-ს მოსარგებელთა სიები გადასცა „ლიბერთი ბანკ“-ს. მოსარგებლებს ქულები დაერიცხებათ 2014-2015 წლებში „ლიბერთი ბანკ“-ს მიერ დარიცხული „აგრო ბარათებზე“.

თუ მოხდა მოსარგებლის „აგრო ბარათი“-ს დაკარგვა ან დაზიანება, იგი უნდა მივიდეს „ლიბერთი ბანკ“-ს ფილიალში, სადაც მას პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემდეგ გადასცემენ ახალ „აგრო ბარათს“.

თუ მოსარგებელე არის უწარმუხლად და არ შეუძლია ბანკში მისვლა, რათა აიღოს მისთვის განკუთვნილი „აგრო ბარათი“, უნდა მიმართოს გამგებლის წარმომადგენელს და მიუთითოს ნდობით აღჭურვილი პირი (შემდგომი უფლებამოსილი), რომლის სახელზეც დაიბეჭდება მისთვის განკუთვნილი „აგრო ბარათი“. მოხდება მოსარგებლის ცვლილება ბანკისთვის გადაცემულ სიაში და უფლებამოსილი პირი „ლიბერთი ბანკში“ მისვლისას მიიღებს „აგრო ბარათს“, რაზეც დაირიცხება შესაბამისი ქულები.

0,25 ჰა-მდე მიწის მფლობელ მოსარგებლებს მათი კუთვნილი 50 ქულა „აგრო ბარათზე“ დაერიცხებათ 2016 წლის 1 მარტს.

დაკარგული „აგრო ბარათები“-ს აღსადგენად, მოსარგებლებმა „ლიბერთი ბანკს“ უნდა მიმართონ 1 მარტამდე, რომ არ მოხდეს მათ აგრო ბარათზე დარიცხული ქულების სხვის მიერ გამოყენება (მოსარგებლებს დაკარგული „აგრო ბარათი“-ს აღდგენა შეუძლია 1 მარტის შემდეგაც, თუმცა თუ მოხდა დაკარგული აგრო ბარათი“-თ ქულების გამოყენება, ეს ჩათვლება მოსარგებლის მიერ გამოყენებულად და მას დამატებითი ქულები აღარ დაერიცხება).

2016 წლის 2 დეკემბრის მოხდება „აგრო ბარათზე“ დარიცხული და გამოყენებული ქულების ანულორება. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება „აგრო ბარათის“ აღებასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებით შესაძლებელია ლიბერთი ბანკის ფილიალებში, გამგებლის წარმომადგენლებთან, სააგენტოს ცხელ ხაზზე: (032) 247 01 01 ან სააგენტოს ვებ-გვერდზე www.apma.ge.

დავასუფთავოთ საქართველო

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

22 მარტს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის მეგობრების საქართველოს-ორგანიზებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და გლობალური წყლის პარტნიორობა საქართველოს — მონანილიობით, კამპანია „დავასუფთავოთ საქართველოს“ ფარგლებში, ქვეყნის უმრავლეს მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ჩატარდა მდინარეების სანაპირო ზოლების დასუფთავების აქცია.

წყლის რესურსების დაცვის დღის ფარგლებში ყვარლის მუნიციპალიტეტში დასუფთავდა მდინარე დურუჯის ხეობა, მდინარე ბურსისა და მდინარე ჩაჭურგუ-

ლას კალაპოტები და მიმდებარე ტერიტორიები.

აქცია „ლურჯი ნაკადული“ წარმატებით განხორციელდა. აქციაში მონაწილეობა მიიღო ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებმა, ყვარლის დასუფთავების სამსახურმა და ა.ა.ი.პ.-ბმა, რის შედეგადაც შეგროვდა და გატანილი იქნა დაახლოებით 50 მ3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

დღევანდელი დღე მნიშვნელოვანი იყო იმითაც რომ, ყვარლის მუნიციპალიტეტში დაირგა 400 ზე მეტი კვიპაროსის ხე, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობას მეღვინეობა „ხარებას“ სანერგე მეურნეობამ საჩუქრად გადასცა.

უნებურად დაგვიხადება კითხვა, რატომაა ყვარელში ასეთი ძვირი პროდუქტი და ნებისმიერი სახეობის საქონელი?



სიერი პროდუქტები, რომლებიც მცირე მოგებაზე მუშაობენ და ცდილობენ თანამოქალაქებს, მეზობლებს და ახლობლებს პატივი სცენ, მიზერულ ფასებში მოემსახურონ. ასეთი ობიექტებთან ყოველთვის ხალხმრავლობაა და რიგებიც არ ელევათ. ამით, ისინი უფრო მეტ მოგებას ნახულობენ, ვიდრე მეძვირე „ქორვაჭრები“, რადგანაც მათთან მიმსვლელი ადამიანების რაოდენობა საგრძობად ნაკლებია.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ქ. თელავში საბითუმო მაღაზიები სოკოვებით მომრავლდა და კონკურენცია უმალეს დონეზეა ასული, ამიტომაცაა ფასები მიზერული. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სახეობის საქონელს განსხვავებული ფასი ადევს, მომხმარებელმაც არ უნდა დაიზაროს და ყველა საბითუმო ობიექტი უნდა მოიაროს, რათა მიზერულ თანხაში შეიძინოს ესა თუ ის პროდუქტი.

თუმცა, ყველას როდი აქვს საშუ-



დრო დადგა ადამიანებმა შევცვალოთ ურთიერთდამოკიდებულება, ვიღვანოთ გაჭირვებულთა დახმარებისათვის, გავუფრთხილოთ ერთმანეთს...

ამ თემებზე წერილის დაწერას დიდი ხანია ვაპირებდი, მაგრამ შეგნებულად ვიკავებდი თავს, რადგანაც კონკრეტული პრობლემების განაწესება არ იყო ჩემი მიზანი. ბოლოს გადავწყვიტე ზოგადად შევხებოდი იმ პრობლემებს, რომლებიც დღეს ჩვენი ცხოვრებას კიდევ უფრო გვიძიმებენ და გაუსაძლისს ხდიან.

ჭეშმარიტი ნათქვამია — „ცხოვრება სულაც არ არის რთული, ადამიანები რომ არ ართულებდნენ“.

განა ცოტაა ფაქტები, რომლებსაც ხშირად ვხვდებით და კიდევ უფრო აუტანელს ხდიან ისედაც პრობლემებით დატვირთულ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. ნერვოზობისა და დამაბნელებელი ცხოვრების გამო ადამიანებში მატულობს ისეთი ავადმყოფობები, როგორცაა გულსისხლძარღვთა დაავადება, დიაბეტი და სიმსივნეები.

ჩემი თაობის ადამიანებს ახსოვთ კომუნისტური წყობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, იმ დროს ბევრი მტკივნეული საკითხი მოწესრიგებული იყო და ვერაფერი დაჩაგრავდა მშრომელ ადამიანს. მაღაზიის გამყიდველს რომ 15 თეთრი მეტი გადაეხდებინებინა კლიენტისათვის, ციხეს ვერ გადაურჩებოდა.

მაგრამ დღეს რა ხდება? ფაქტები მეტყველებენ, რომ ვაჭრობაში დასაქმებული ადამიანების გარკვეული ნაწილი ამ სფეროში „მოღვაწეობს“ დაწყებისთანავე ცდილობენ იმოგონ ბევრი ფული და ერთბაშად გამდიდრდნენ.

მაგალითი, პირადი ცხოვრებიდან.

დავიხადე. მეორე დღეს თელავში წავიდა და ზუსტად იმავე რაოდენობის პეტლებში 20 ლარით ნაკლები მიანგარიშეს. მესამე დღეს დახლზე დავეყარე მისგან წამოღებული საქონელი და კულტურულად გამოვლანძღე, თანაც დავემუქრე მის „საგმირო“ სამიანობას, რომ გაზეთში გავაშუქებდი. ვინ აღარ მომიგზავნა და ბოლოს თავი დავანებე.

ყოველდღიური ყოფა წარმოუდგენელია ჭამისა და სხვა ათრიბუტებთან ერთად ხელსახოცის გარეშე. ოჯახის მწირე ბიუჯეტის გათვალისწინებით ყოველთვის უნდა იქნებოდეს რამდენიმე რულონი ხელსახოცის შექმნა. შემოდგომის პერიოდში ერთი რულონის ფასი 1.20, ლარის ფარგლებში მერყეობდა, შემდგომ 1.50 და ბოლოს 1.80 ლარი გახდა ყვარლის მაღაზიებში. შემთხვევით თელავში წავიდა და გაცივებული დავიწი, როცა ასეთსავე რულონში 1.10 ლარი გადავიხადე. მივიღე იმ დასკვნამდე, რომ ზოგიერთს მადა ჭამაში ეზრდებოდა და ერთბაშად გამდიდრების სუვილი კლავს, თელავში თბილისიდან ჩამოტანილ საქონელს 20-30 პროცენტს ამატებენ, ხოლო ყვარელში ორმაგ-სამმაგ მოგებაზე აქვთ გათვლილი.

უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი შემთხვევების და ბუნებრივია, უნებურად და გვეხადება კითხვა, რატომაა ყვარელში ასეთი ძვირი პროდუქტი და ნებისმიერი სახეობის საქონელი?

ასე იმიტომ, რომ არავინაა გამ-

ალემა პროდუქტებისა და საქონლის შესაქმნად თელავში ირბინოს! თელავში მგზავრობა ხომ სოლიდური თანხა ჯდება და იმ შემთხვევაშია სასარგებლო, თუ შექმნილი საქონლის მოგებით დარჩენილი თანხა მგზავრობის ღირებულებას საგრძობად გადააჭარბებს. სამწუხაროდ, ასეთი შესაძლებლობა ბევრს არ გააჩნია და იძულებულნი ხდებიან ადგილობრივ ობიექტებში ივაჭრონ.

ბუნებრივია თითოეულ ჩვენთან გვეხადება კითხვა, რატომ არ უნდა ფუნქციონირებდეს ჩვენს ქალაქში თუნდაც ერთი ასეთი ტიპის სავაჭრო ობიექტი?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გავცენ ამ სფეროში დასაქმებულმა შეძლებულმა მენარმებმა, ანდა იმათ, ვისაც წარმატებული ბიზნესი აქვთ და მათთვის ასეთი ობიექტის ამუშავება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მას სოლიდური მოგების მოტანა შეუძლია.

სრული განუკითხაობა სულეცს ფარმაცევტულ სფეროში, სადაც კოლოსალურ ფასად იყიდება სამკურნალო ნაწილები. სატელევიზიო გამოსვლებში ექსპერტები კომპანიებს შორის კარტელურ გარიგებებზე მიუთითებენ, რასაც მათი ხელმძღვანელები არ ეთანხმებიან. სამწუხაროდ, ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებენ, რადგანაც სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში სამკურნალო პრეპარატები მამასისხლად ფასობს და მძიმე ტვირთად აწევა თითოეული ოჯახის ბიუჯეტს. დოლართან ლარის გაუფასურებამ კი ყველა ჯურის კომპანიის საბაზი მისცა და ერთი-ორად გაზარდეს ფასები. სააფთიაქო ქსელში ფასები განსაკუთრებით გაიზარდა იმ პრეპარატებზე, რომლებზეც მასიური მოთხოვნა იქნებოდა.

ჩემი დაკვირვებით ბავშვებისათვის გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატების ფასი 2014 წელთან შედარებით გაორმაგდა. ამის თქმის უფლებას პირადი გამოცდილება მძლევს. ხველების სამკურნალო სიროფის და ანტიბიოტიკის შექმნა თუ 25 ლარი მიჯდება, ამჟამად 50 ლარამდეა მისი ღირებულება გაზრდილი.

2015 წლის ოქტომბერში თვალზე კატარაქტის ოპერაცია გავიკეთე და თვალში ჩასანვთებელი ორი სახის პრეპარატის შექმნა ყვარელში 40 ლარი დამიჯდა, მეორეჯერ თელავში შევიძინე და 30 ლარში ჩავეტყე. სხვა პროდუქტების მსგავსად თელავთან შედარებით სამკურნალო პრეპარატები განსხვავებულად ძვირად ფასობს ჩვენთან. ნეტავ როდის დამყარდება ნესრივი ამ სფეროში?

ავიღოთ პური, რომელიც ყოველდღიური მოხმარების პროდუქტია და ყოველგვარი კონტროლის გარეშე მიტოვებული. კომუნისტური ეპოქის პერიოდში, თუ ვინმე გაბედავდა სასტიკურულ-ჰიგიენური მოთხოვნების დარღვევას, ანდა წონას დააკლებდა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ასცდებოდა. არ დაგვაყინდეს, რომ პურის ტრანსპორტირება სპეცმანქანებით ხდებოდა და ეს საპასუხის-

მგებლო საქმე მინდობილი ჰქონდათ სახელმწიფო სანარმობეს.

ახლა რა ხდება? ვისაც კი გაუჩნდება სურვილი, შეუძლია პურის ცხობა დაინყოს და სარფიანი მოგებაც ნახოს. იმიტომ, რომ არავინ არ თხოვს საცხობში სანიტარულ-ჰიგიენური და პურის ტრანსპორტირების პირობების დაცვას, მცხოვრებლების ჯანმრთელობის ცნობას, გამორიცხული არ არის ტუბერკულოზით დაავადებული ან სხვა გადაამდები ინფექციების მატარებელი ადამიანები იყვნენ ამ სფეროში დასაქმებული.



პურის გამოცხობამდე ცომს რა რაოდენობის და რა სახის ინგრედიენტებით ამდიდრებენ ეს ხომ საიდუმლოდ რჩება.

ფაქტია, რომ ყვარელში პური ყველაზე ძვირად ფასობს. თელავში, გურჯაანსა და სხვა მუნიციპალიტეტებში პურის ფასი 50 თეთრია, თანაც იქაური პური გაცილებით ხარისხიანი და შედარებით მეტი წონისაა. ზოგიერთი აქაური მცხოვრებელი ყვარელში გამოძევარ პურს 60, ხოლო სოფლებში გატანილს 50 თეთრად ყიდის.

„აღბათ იმიტომ, რომ ყვარელში მდიდრები ვცხოვრობთ“.

ცივილიზებულ ქვეყნებში ოჯახებში აცხობენ პურს, შეამზადებენ ფქვილს საჭირო ინგრედიენტებთან ერთად და პურსაცხობი თვითონ მზადებენ და აფუებს და შესანიშნავად გამოძევარ პურს შემოგვთავაზებენ. დრო მოვიდა და ყველამ უნდა ვიფიქროთ პურსაცხობის შექმნაზე.

დღეს ტრანსპორტი ფუფუნების საგანი აღარაა, ავტომანქანის გარეშე ნებისმიერი საქმის ნამატებით დასრულება წარმოუდგენელია. ამიტომ ადამიანები ყოველნაირად ცდილობენ თუნდაც მოძველებული ავტომობილი შეიძინონ, რათა ოჯახებმა თავი ირჩინონ.

სამწუხაროდ, მათი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი საწვავის შექმნაზე იხარჯება, აღარ რჩებათ საშუალება სხვა პრობლემები გადაწყვიტონ. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენთან

სხვა ქვეყნებთან შედარებით საწვავზე ფასები მაღალია.

თითქმის ერთი წელია მსოფლიოში ნავთობის ერთი ბარელის ფასი ჯერ არნახულ ნიშნულამდე დაეცა, მაგრამ ჩვენთან ახლაცაა დაინიარსაწვავის ფასმა. მაგრამ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ამკარად გაზრდილია, ვინაიდან საქართველოში ყველაზე უხარისხო და ყველაზე დაბალფასიანი საწვავი შემოდის. მიზეზად დოლართან ლარის გაუფასურებას ასახელებენ, ამ დალოცვილებს კი ავიწყდებათ, რომ ბარელის ფასი მთლად მიზერულ-



ლი გახდა. გამოდის, რომ საწვავის მაგნატები თვალში ნაცარს გვაცრიან და გვარიანად ითბობდნენ ხელს.

ყვარელში ხომ სხვა რეგიონებთან თუ ქალაქებთან შედარებით ყველაფერი მამასისხლად იყიდება. ასეა საწვავზეც და ყოველთვის მაღალი ფასები.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტები მიანიშნებენ, რომ ბუნებრივი აირის საწვავის სარეალიზაციო ფასი ბუნზინისას გაუტოლდა. თუ იმასაც ანგარიშს გავსწვთ, თუ როგორი ხარისხისაა გაზის გისხამენ, გამოდის, რომ სარფიანი ბიზნესია. ავტომანქანის გაზით განყოფილ დროს ბალონი ისე ხურდება, რომ ხელის მიკარება არ შეიძლება, რატომ? ისმის კითხვა, იმიტომ, რომ მანქანებელმა გაზის ის მოცულობა დააფიქსირა, რომელიც რეალურად არ არსებობს. ამიტომ, რომ ყვარელში ავტომანქანის მფლობელები ცდილობენ სხვა ქალაქებში ჩასახან გაზი, ვინაიდან ავტომობილი ორჯერ მეტ მანძილს გადის, ვიდრე ყვარელში აღებული გაზით. ამას ნებისმიერი მძღოლი დაგვიდასტურებს.

დრო დადგა ადამიანებმა შევცვალოთ ურთიერთდამოკიდებულება, ვიღვანოთ გაჭირვებულთა დახმარებისთვის, გავუფრთხილოთ ერთმანეთს, რამეთუ თითოეული ჩვენთანგანი იმ ქვეყნად წამსვლელი ვართ და როცა სამსჯავროს წინაშე წარვდგებით, მკაცრად მოგვეთხოვება ჩადენილი ცოდვების გამო

ალექს ავალიანი



რამდენიმე წელი დამჭირდა, რომ ჩემი ფარალალა ოთახისათვის კარები და ორი ფანჯარა ჩამესვა. ხე-მასალა ახლობელმა მაჩუქა, მაგრამ დურგალი გამიხდა საძებნელი, როგორც იყო კარ-ფანჯრები გამზადა და „პეტლებიდა“ იყო საჭირო, მივაშურე ჩვენი ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ სამეურნეო მაღაზიას, საჭირო რაოდენობის „პეტლები“ გადმოვალდინე. იანგარიშა კალკულატორზე და ისეთი გაბერული თანხა დამისახელა, რომ მივხვდი აფიორას ჰქონდა ადგილი. თანხა ჯიბეზე მქონდა, მაგრამ არ გა-

კითხავი და მაკონტროლებელი. საჭიროა არსებობდეს კონტროლის მექანიზმი და პიროვნება, რომელიც ასეთი მაღალ ფასებში ყიდის უნდა ჯარიმდებოდეს სოლიდური თანხით, რომ ადამიანების ძარცვისა და ყველფის მადა დაეკარგოს.

საბოლოოდ კი ეს ყველაფერი პატიოსანი ადამიანების ცხოვრებაზე ისახება მტკივნეულად და მათ ჯანმრთელობას საფრთხე დამუქრება, აბა რა იქნება.

თუმცა ყველა როდი მუშაობს „გატყავების“ მეთოდით, არიან სინდი-

ნერვიულობა და სტრესი როგორ ვიპოვოთ ცხოვრებისეულ პრობლემებს

ყოფითი მრავალი პრობლემიდან ყველაზე უფრო ამოუცნობი ალბათ თავად ადამიანის ბუნებაა. კვლევები ამ მიმართულებით დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ საქმეს ართულებს ის, რომ თითოეული ადამიანი უნიკალურია და ყველა ერთმანეთისაგან განვსხვავებით.

გარემოში მიმდინარე ნეგატიური ფაქტორები ადამიანებზე დიდ გავლენას ახდენს. ხშირ შემთხვევაში ეს ყველაფერი დეპრესიას იწვევს.

რა არის დეპრესია, როგორ დავძლიოთ ის და როგორ მოვაგვაროთ ურთიერთობა ერთმანეთში, კითხვებს ევროპაში აკრედიტებული ფსიქოთერაპევტი, ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი თეა გოგოტიშვილი პასუხობს.

მკითხველი: რა შემთხვევაში ვლინდება ყველაზე ხშირად სტრესული მდგომარეობა?

— შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკვეთრი კლიმატური პირობები ახდენს ზეგავლენას ჩვენ რეალობაზე, ფიზიკურ მდგომარეობაზე, რომელიც აისახება ჩვენს ფსიქო-ემოციურ ფონზე.

გაზაფხული მზიანი პერიოდია და აქედან გამომდინარე მზის სხივები ითვლება ანტი დეპრესიული გავლენის მქონე გარე ფაქტორად. ამას გარდა, ბუნება იწყებს აყვავებას და ადამიანს ოპტიმისტური განწყობა უფრო ექმნება.

დეპრესიას ხშირად პრობლემის მიმართ შინაგანი პასიურობა, ანუ კაპიტულანტური დამოკიდებულება იწვევს.

დეპრესია არის უიმედობა, რაც იწვევს ფსიქო-ფიზიკური ძალის განვლევადობას. ეს არის ხელჩაქეული მდგომარეობა, სადაც აღარ არსებობს ხალისი და შინაგანი სტიმულები. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ადამიანს რეალურად არ აქვს განცდა, რომ ყოველდღიურ ყოფაში გაუმკლავდეს აქტუალურ პრობლემებს.

მთელი ცხოვრების განმავლობაში ადამიანი არის მონოდებულო რომ დამოკიდებულია სტრესზე. პრობლემებიც იმიტომ არსებობს, რომ ისინი იყოს დაძლეული.

გაზაფხული არის სიახლის, ახალი პერიოდის დაწყების, ოპტიმისტური ხედვის ნიშანია.

ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც ვერ ახერხებენ პრობლემებთან ბრძოლას, უფრო კონტრასტული ხდება ეს ყველაფერი და მნიშვნელოვანია ამ დროს გააცნობიერონ ის დისკომფორტი, რომელშიც ისინი იმყოფებიან და არა მხოლოდ დეკლარირება გააკეთონ და დააფიქსირონ თავის გარემოში რომ მას უჭირს, არამედ იყოს განწყობილი — დაიხმაროს სპეციალისტი თავისი მდგომარეობის ცვლილებაში.

ხშირად ისმის ფრაზა — საკმაოდ პოპულარულია: „რას დამეხმარება ფსიქოლოგი, როდესაც მე ჩემი პრობლემები მაქვს და ის მე პრობლემებს ვერ

გამიქრობს“. რეალურად ამ ადამიანებს არ აქვთ პროფესიული ცოდნა და არ იციან რომ ფსიქოთერაპია მხოლოდ ადამიანის რეალობის პრობლემის დაძლევის კი არ გულისხმობს, არამედ როდესაც რეალობა უცვლელია და ადამიანს ხელარეწივება ამ პრობლემებზე ზეგავლენის მოხდენა — ფსიქოთერაპია დამოკიდებულების ცვლილებაში უწყობს მას ხელს.

როდესაც იცვლება განწყობა, რეალობა სხვანაირად გამოიყურება. სწორედ ამ განწყობის ცვლილებაზე ვემუშაობთ ჩვენ და მინდა ვანუგეგოთ მათთვის, რომ ფსიქოთერაპიაში ყოველდღიურად არის მსგავსი შემთხვევები.

მკითხველი: სხვადასხვა საიტებზე ხშირად წავიკითხავ, „საკვები, რომელიც სტრესს მოგისხნით“ მართლა არის კვებაზე დამოკიდებული სტრესი?

— კვებას და ნებისმიერ საკითხს, რომელთანაც ჩვენ ვართ სუბიექტურად შეხებაში, რა თქმა უნდა აქვს გავლენა. რეალობა გავლენას ახდენს ჩვენს გუნება-განწყობაზე. საკვები ერთ-ერთი ძლიერმოქმედი კომპონენტია გუნება-განწყობის ცვლილებაზე. აქ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა ის საკვები, რომელიც ადამიანს უყვარს და მას სიამოვნებას ანიჭებს იწვევს თავის ტვინის ჰორმონების აქტივაციას, რომელსაც სიამოვნების ჰორმონსაც უწოდებენ. რაც თავისთავად ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა. შოკოლადი და სხვა ტკბილი საკვები (რა თქმა უნდა ზომიერად) არის ანტი-დეპრესიული ზემოქმედი.

მკითხველი: რას ნიშნავს ხანმოკლე და ქრონიკული სტრესი, ადამიანი ყოველამ მდგომარეობას და იგი ხდება მისი ცხოვრების ნაწილი?

— ხანმოკლე სტრესი არის ის სტიმულები, ის გამაღიზიანებელი გარემოებები, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში გამოწვევას წარმოადგენს. ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ, ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯები ამ სტრესის რეგულაციისკენ. უნდა გავიზრდეთ პრობლემური საკითხები და გამოვავლებთ ვიყოთ ორიენტირებულები. როცა პროცესში აზროვნება ჩართულია და ბრძოლის უნარი არის გააქტიურებული, ან ადამიანი აზროვნებს, ფიქრობს, აკეთებს არჩევანს, გამოხატავს თავისუფალ ნებას და ამ გზით ჭრის პრობლემებს. ხანმოკლე სტრესი ასეთი სახით უნდა იყოს გადაჭრილი.

ხანმოკლე სტრესი ჩვენ ყოველდღიურად გვაქვს. ხანდახან მძაფრი სიხარულიც სტრესია. ის, რაც მინავალი წონასწორობიდან მომეტალურად გამოიყვანია, ყველაფერი სტრესად შეიძლება ჩაითვალოს.

ადამიანები, რომლებიც ვერ ახერხებენ სუბიექტურ, თუ ობიექტურ მიზეზების გამო ამ სტრესებთან გამკლავებას, სრულიად შესაძლებელია

პრობლემა გადაიზარდოს ქრონიკულ, დროში გახანგრძლივებულ სტრესორად, რომელიც შემდგომში უკვე გართულებებს გამოწვევებს. გართულებები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. თუ ეს სტრესი ძალიან გახანგრძლივდა, შესაძლებელია ფიზიკური დისკომფორტის სიმპტომებში გადაიზარდოს, რასაც სომატიზაციას ვუწოდებთ და სომატიზირებული გახდება ესა თუ ის სტრესი.

მკითხველი: როგორია სტრესული ფაქტორების ხანგრძლივი მოქმედების შედეგები?

— ხანგრძლივი მოქმედების ფაქტორები, გამოიხატება ფიზიკური დისკომფორტის სიმპტომებში. მაგალითად, ადამიანს აწუხებს გული, აქვს კუჭქანაღის პრობლემა, რომელიც კვლევის შედეგად არ დგინდება, შეიძლება თავის ტვინი სტრესს და უძილობა დაიწყოს. ამას ჩვენ ვუწოდებთ რეალურად ფუნქციონალურ დარღვევას. რაც ნიშნავს, რომ ორგანო ვერ არ არის დაავადებული, მაგრამ სტრესული მდგომარეობა კონკრეტულ სისტემაზე, რომელიც ყველაზე სუსტია, დიდ გავლენას ახდენს. ფუნქციონალური დარღვევა არის სიგნალი, რომ ადამიანს აქვს პრობლემა, რომელსაც სჭირდება აუცილებლად ყურადღება. ფიზიკური დაავადებები პირდაპირ არასდროს ვლინდება, ადამიანს დასაწყისში აქვს ჩივილები, რომელიც არის მონოდებულო ყურადღების პირდაპირ არასდროს ვლინდება, ადამიანს დასაწყისში აქვს ჩივილები, რომელიც არის მონოდებულო ყურადღების მიქცევისთვის და თუკი ადამიანი უყურადღებოდ, სიხარმაცის ფენომენი ძალიან ცუდი შედეგების მქონეა.

ადამიანებს, ასეთ დეპრესიულ, აპატიურ მდგომარეობაში ძალია არ ჰყოფნით, რომ მიხედონ თავიანთ თავს და მიაკითხონ იმ ინსტანციას, რომელიც დაადგენს რა ჩივილები აქვს მას და აქედან გამომდინარე, აქვს თუ არა მას პრობლემა. თუ დროულად არ მოხერხდა ჩარევა, შესაძლებელია ის გადაიზარდოს ორგანულ დაავადებაში. ამიტომ ფსიქოსომატიური მდგომარეობის გამოწვევას წარმოადგენს. ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ, ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯები ამ სტრესის რეგულაციისკენ. უნდა გავიზრდეთ პრობლემური საკითხები და გამოვავლებთ ვიყოთ ორიენტირებულები. როცა პროცესში აზროვნება ჩართულია და ბრძოლის უნარი არის გააქტიურებული, ან ადამიანი აზროვნებს, ფიქრობს, აკეთებს არჩევანს, გამოხატავს თავისუფალ ნებას და ამ გზით ჭრის პრობლემებს. ხანმოკლე სტრესი ასეთი სახით უნდა იყოს გადაჭრილი.

ხანმოკლე სტრესი ჩვენ ყოველდღიურად გვაქვს. ხანდახან მძაფრი სიხარულიც სტრესია. ის, რაც მინავალი წონასწორობიდან მომეტალურად გამოიყვანია, ყველაფერი სტრესად შეიძლება ჩაითვალოს.

მკითხველი: როგორ დავძლიოთ სტრესული მდგომარეობა?

— პირველ რიგში ადამიანს ჭირდება საკუთარი თავის თვით დაკვირვება. ადამიანი უნდა იყოს ყურადღების ფოკუსში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ რა გვეუჩქრება, რას ვგრძობთ, რა ფიზიკური შეგრძნებები გვაქვს.



ძალიან მნიშვნელოვანია რამდენად აქვს ადამიანს ეს ფიზიკური შეგრძნებები. ფსიქოთერაპიის ერთერთი მიზანია სწორედ ის არის, რომ დაეხმაროს ადამიანს ეს კონტაქტი აღდგეს და განვიტარდეს.

როდესაც ადამიანი ახდენს საკუთარი თავის ობიექტივობას, ის აცნობიერებს, ხვდება და აღიქვამს რა აწუხებს. რა აზრებია მისთვის გარკვეული ღელვის და წუხილის მომტანი.

არსებობს სქემა: ადამიანს აქვს აზრი, რომელიც გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვის მქონეა. აზრს აქვს ემოციური მუხტი — პოზიტიური, ან ნეგატიური. შემდგომში, რაც უფრო ძლიერია ეს ემოციური ფონი, ეს უკვე აისახება სხეულზე. როცა ადამიანი ახდენს ამის აღქმას და გაცნობიერებას, მაშინ ის უმკლავდება სტრესს. ის აცნობიერებს რა პრობლემა დგას მის შინაშე. იწყებს ამ პრობლემის გააზრებას და დამოკიდებულების გამოუმუშავებას. შეიძლება მყისიერად ვერ ხერხდება ამის დაძლევა, მაგრამ კარგად იაზრებს და ერთ ფოკუსში აქცევს თავის შესაძლებლობებს და რესურსებს. ადგენს სტრატეგიას, თუ როგორ დაიძლევა ესა თუ ის პრობლემა.

მკითხველი: წარსულში ფიზიკური ნაკლის გამო (კუზის) ბევრმა დამჩარა. ამის გამო სახში ვიყავი ჩაქეული. გამოვდი მხოლოდ მაშინ, როცა ოპერაცია გავიკეთე და მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ დღემდე ცუდად ვარ წარსულის გამო. კომპლექსები შემომჩრა. ხანდახან ვუწუნებარებლად ვიქცევი, თუმცა გულის სიღრმეში სევდიანი ვარ და ყოველ საღამოს, როცა მარტო ვრჩები ვიწუწუწვარ. როცა ვხედავ ჩემს წარსულზე ვფიქრობ. ბევრჯერ ამ ყველაფერს თვითმკვლელობამდე მივყვანივარ, თუმცა, დედის გამო ყოველთვის უარს ვამბობდი ბოლო წამს.

მოუხედავად იმისა რომ ძალიან კარგი სამედიკოლო ნრე ვაქციხნე რომლებიც ზედმეტიან, მაინც მარტოობა და ფიქრი მირჩევნია ცოტა ეგოსტიც გახვები და იქნებ რამე მირჩიოთ როგორ დავძლიო დეპრესიული დღეები რაც დღემდე მაქვს.

— ადამიანი მონოდებულოა, იმისთვის, რომ მან მის ცხოვრებაში რაღაც

მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმე აკეთოს.

ადამიანი არის შემოქმედებითი ნატურის და ბუნების მქონე. შემოქმედებაში მხოლოდ ხელოვნება არ იგულისხმება. ეს არის ქმნა რაღაც მნიშვნელოვანის, რაღაც ფასეულის, ეს ფასეულობები არის ძალიან ინდივიდუალური.

ჩვენ, თითოეულს გვაქვს ჩვენი შინაგანი ათვლა, ფასეულობათა სისტემა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვცხოვრობთ. ჩვენი პროფესიული ათვლაც ამ ფასეულობათა სისტემაშია მოქცეული. თუ ადამიანი ვერ ახერხებს თვით რეალობის გახანგრძლივებას, რაც გულისხმობს აქტივობას, რაც მისთვის არის სასიამოვნო, მნიშვნელოვანი და ფასეულობის ღირებულების მქონე, ანუ მნიშვნელოვანია ის დაკავდეს, აღმოაჩინოს (თუ არ აქვს ნაპოვნია) საყვარელი საქმე. მას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი — ხეზე ჭრიდან დაწყებული, დამთავრებული ფესვსამდის შეკეთებით.

უცნობელია თითოეული ჩვენი განიზრახვით, რომ ვაკეთებდეთ სასარგებლო საქმეს. ეს სარგებლობის ცნება ჩვენში არის ინდივიდუალური.

მესმის, რომ ამ ადამიანს აქვს რეალური პრობლემა იმისთვის, რომ იყოს ხშირად დათრგუნული მდგომარეობაში, მაგრამ მას შეუძლია თავის თავს ხელი შეუწყოს იმით, რომ მან აკეთოს მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმე. მათ შორის ქველმოქმედება, რომელიც ძალიან ამაღლებს თვითშეფასებას.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ნევროზულ მდგომარეობაზე, ძალიან ზოგადია ეს რეკომენდაცია. ასე ადვილად ვერ ხერხდება გარკვეული საკითხების რეალობა და შესრულება. რეკომენდაცია არ არის ფსიქოთერაპია. ფსიქოთერაპია არის, ადამიანმა იპოვოს უკეთესი, უნიკალური გამოსავალი, მან თვითონ მიძებნოს პრობლემის გადაჭრის გზა.

სხვაზე ზრუნვა, იმის განცდა, რომ შენ ხარ საჭირო, შენ ხარ მნიშვნელოვანი და შენ აკეთებ სიკეთეს, ეს იმდენად სასიამოვნო განცდების მომტანია, რომ ეს სიამოვნება, რომელიც სულიერია, ადამიანს ძალიან უმაღლებს თვითშეფასებას.

ნათქვამია — რაც არ გირჩევს, არ შეგირჩევს!

უფალო, დიდება შენდა, მომეცი ძალა და შენგებ, ჯანმრთელობა, ნუ დამათრბობ პურით, მხოლოდ ის მომეცი, რაც ძალიან მჭირდება, მომეცი ნესიერი შთამომავლობა და შრომის უნარი, საღი აზრი, ხალხის სიყვარული. რაც ჩემი არ არის, ნურც მამობინებ, ჩემსას ნურავინ ნამართმევს. რასაც ალაღად ვიმორჩებ, ის მომხმარებ მშვიდობაში. სიხარბე მამორე და ავი საქციელისგან დაიკავი სამყარო. ხელფები შეუკარი სხვის ქონებაზე მონადირე ავკაცებს, ვინც არაკაცობით შოულობს, რომ შთამომავლობას დაურჩინოს დიდი ქონება.

იციტ კაცი ვინ არის? ვინც მთვრალიც ფხიზელია, თვალი არ უჭირავს სხვის ქონებაზე. არა ინდომო ცოლი სხვისი და არა ინდომო მამული სხვისი, ვის ქონებაზეც არაფერი გელაქმება, იმიტომ, რომ იმდენს ვერ მოუვლი და იძულებული იქნები ვიღაცა უბედურს ექსპლოატაცია გაუწიო და ჩაკლა შრომაში. ხალხის თვალს არაფერი არ გამოეპარება. ძველად იტყოდნენ სოფელი ბრძენია. ასეთი საქციელი რა თქმა უნდა, ყველას ხედვრი არ არის.

სოფლის სინამდვილეში ერთი ძლიერი ოჯახი ცხოვრობდა, უთით შვილი ყავდათ და ოჯახის უფროსი სულ შრომადიდ დამოდებრაში იყო, სხვისი არა ინდომოთ რაო.

იყო ის დრო, როცა ჩასაცემელი ჭირდა და ქალამნის გულისთვის ხალხი ძროხას ან კამეჩს დაკლავდა და ხორცს თავს განებებდა ტყეში, რა თქმა უნდა, ქურდობდნენ.

ერთ დღეს ამ ძვირფასი ოჯახის შვილი წავიდა წნელის მოსაჭრელად. ტყეში რომ შევიდა, დაინახა ძროხა გატყავებული, ხორცს ორთქლი რომ ასდიოდა. თავის საქმიანობას თავი განებდა, ძროხას ერთი ბარკალი ააჭრა, ჯოხი გამოთალა, გაუყარა და სახლში წამოიღო. მამა გაუწყრა, სად მოიპარე, რომ დაგიჭირონ ნაქურდალზე, რა ვქნა, ხალხში როგორ გამოვიყო თავიო. ბიჭმა იტირა, არ მომიპარია, თუ გინდა, სადაც ვნახე და წამოვივ, ნაპოვნი და გავჩვენებო. სანწყალმა ბიჭმა დახორცი და იქ გადააგდო, საიდანაც მოიტანა.

ის პატარა ბიჭი, რომელსაც მამის დატუქსვა წამლად ექცა, პატიოსან შრომაში დაბერდა, ალალი შრომით ცხოვრობს მისი შთამომავლობაც მისი ოჯახის ავკაცობას ვერავინ იტყვის, ალაღ შრომაში დაბერდა.

ზოგს დარიგება წამლად ექცევა, ზოგს — სანამლადა და მუდმივად ჩამოყალიბდება სამარცხვინო საქციელში, ცოდვაში ჩაფლული ივლის.

ბიბლიას თუ დავუყვებოთ, ნერია: „ბოლო დროს მომრავლდებიან ფულის, ოქროს, ძონძების მოყვარულები, სხვის ქონებაზე მონადირეები“. ამას ქვია საუკუნის ღელვა და ასეთი ხალხი გამოირიყა ოკეანეებმა და ზღვებმა, დიდმა წუმბებმა და ჩამხრევლები დაყარა. ვიღაცა ხარ, ნუ გგონია შენი ჩამოყალიბე ქვეყანა და შენს იქით არავინ არ არის. ეგრე არ არის ჩემო ძმობილო. ჯანი იერ გაქვს, ქურდობაში ნუ დახარჯავ, კაი კაცობაზე დახარჯე.

დიდი ხნის წინათ სოფელს ემსახურებოდა ერთი დანატრული ქალი, გერთოდებოდა ფოსტალიონი. საეზრვე მისცა მთავრობამ და როცა სული მოითქვა გაჭირვებულმა ქალმა, რომ იტყვიან „მშიერი მუცლით“, სახლი აიშენა. ორი ვაჟი ყავდა, არც ქურდები და არც ბოროტები, დაზარდა და თავისი ცხოვრება გაიკეთეს. მცირე ხელდასას მთლიანად ზოგავდა. სოფელში, სადაც გახუთი და წერილი მიჰქონდა, ასაჩუქრებდნენ, ვინც პურს აცხოვდა, ყველა სადღისა და შესთავაზებდა და ცხელ პურსაც. გაიმართა წელში სოფელ-სოფელ მოსიარულე ქალი, სახურავი კობტა აიშენა და თუნუქის სახურავითაც გადახურა, ოჯახის საჭირო ინვენტარიც შეიძინა. დაიღალა მძიმე შრომაში ქალი და ერთ დღესაც სული უფალს მიაბარა.

ერთ დღეს მითხრეს: „იცი, ფოსტალიონი მოგვიკვდაო“. ვიცი, უფალი მას ზუციურ სამყაროში, თავის ბაღში მიიღებს. ნუთუ არ გაინტერესებთ რა მოხდა. ცოტა ხანი ადროვს სახლს, მერე კი დიდი სამგლებით დაეცა. დააძრეს კარ-ფანჯარა, იმ უბედურ ქალს ქვაბები ბლომად ჰქონია, ისიც გაატანეს და უსირცხვილოდ ხმარობენ უბედური ქალის ნავაგლახარს. ეს ყველაფერი რომ გავიგე, თვალში ინვენტარის მისი გაჭირვებული ცხოვრება, სიცხეში, წვიმაში გალუმპული რომ დადიოდა სველი ფეხებით. დაილოცე ღმერთის ძალა, თუ ერთ დღეს იმ სხვის ქონებაზე მონადირე ოჯახსაც ისე დაებნევა ყველაფერი.

საბუის სოფლის შესასვლელში, კულტურის სახლი და მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა ერთმანეთს უყურებს, ვაი შავი დლით ჩასამევიანა მეურნეობის დირექტორმა კულტურის სახლი და ააშენა კიდევ. კახეთის სოფლებში თითქმის დაიშალა კულტურის სახლები, სამუხაროდ საბუესაც ასე მოუვდა. „ღირსი არა ხარ მუცლიანი, თერთსა ქალაღდზე წერასაო“, ყველას თვალწინ დაშალეს, დაანგრიეს, ვისაც რა უნდოდა წაიღეს, პირველ რიგში ინსტრუმენტები, დივან კრესლოები, კაბინეტის ავეჯი. გამგულად გამოშლელი კი ახლაც ამბობს — საცდადვი სოფელი, ვერ შეინარჩუნეს ძვირფასი შენობა.

ვინ იტყვის, რომ ამ სოფელს ყავდა ხელმძღვანელობა, პატრონი, ინტელიგენცია, რომელთა თვალწინ ინგოვრდა უმჯირფასესი შენობა. აყარეს იატაკი, მოხადეს თუნუქის სახურავი. შამპაკის მონადირე ჩვენს სოფელს დაეგ არის.

ოხ, ეს არჩევნები! ზოგისთვის გასამდიდრებლად მოგონილი და ზოგისთვის დასალუჰად. სოფელი ბევრი უსამართლობის და ავკაცობის მოწმე გახდა. ტყე და მინდორი ხელში ჩაუვარდათ, რაც არა ქონდათ, ის იშოვეს, რის იმედიც არა ქონდათ, ზეციდან ჩამოუყარეს, მე თქვენთვის არა მშურს, სიმდიდრე არ მითხოვია უფლისთვის, „მხოლოდ მუშლი და კოლი მოშორე ღმერთის ძალა, თუ ერთ დღეს იმ სხვის ქონებაზე მონადირე ოჯახსაც ისე დაებნევა ყველაფერი.

ჩვენი კომისიაშიც ვიყავი და მინის კომისიაშიც. ჩემს ეზოში მოხვედი და მიიხარო, მე რომელ პარტიასაც გეტყვი, იმ პარტიასაც იმუშავებო, მე ვაიხარო, მე სხვის დაკრულზე ცეკვას არ ვაპირებ. ნეტავ ნაციონალისტს გაემარტოვინათ და მე ხალხის საყვედურში არ ჩავვარდნილიყავი. პენსიების რიგი როცა დგება, ყოველთვის მსაყვედურობენ, დაგაჯერეთ და შენც დაილუპე და ჩვენც შეცდომაში შეგვიყვანეო. პასუხი უნდა ვაგო, ვტყუივარო და რომელი, მაგრამ დადგება დრო, რომ მე დიდი ტრიბუნიდან ვიტყვი მტრების სამხილებელს ყველას გასაგონად. იმ ფოსტალიონზე მოგახსენებდით, მან თავის სახლს რკინის აივანიც გაუკეთა, მარტო ცემენტის დასხმალა უნდოდა. უწმინდურს, თავი რომ მოსწონს, რკინები ბაღებზე რომ გადმოჰქონდა, თავის ეზოს კართან ქალი იჯდა, ღობიდან ზედ გადაახტა ქალს და კინალმ მოკლა ის უბედური, თუმცა მელას ბევრი ხერხი აქვს თავის გასამართლებლად.

თქვენ იმის მხარეზე ხართ, ვისაც იყენებთ — შაქრო!

იცოვდა, ყველა თავისას მიიღებს. ცოვონდა და მადლის გამრევი უფალია. ამდენი და ამდენი ნელი სოფლის თავკაცი ვიყავი, მთავარი ის არის, იმ ხანში რა გააკეთე, ვის რა არგე, შენი თავის გარდა. გაიგე...

ნახვამდის, კიდევ შეგხვებინებთ.

ნანი პარიპოვილი
სამყურაშვილი, სოფელი საბუე

შეხვედრა წარსულთან — კოლორიტი აღამიანების მოღვაწეობა არ უნდა დავივიწყოთ

შეხვედრა წარსულთან

დასაწყისი ნი. #1-5, 2016

ძვირფასო მკითხველო, ალბათ კარგად გახსოვთ კომუნისტურ ეპოქაში, ავტომანქანის შექმნა რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. დამეთანხმებით, ხშირად ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დონეზეც კი წყდებოდა ეს საკითხები. მახსენდება, ასეთი შემთხვევა, კონსერვატორის პროფესორმა, ცნობილმა ლოტარმა, ან გარდაცვლილმა ბატონმა ანზორ კავსაძემ, რომელიც ჩემი პედაგოგიც გახლდათ წლების მანძილზე, ვერაფრით ვერ მიაღწია მანქანის შექმნას, მიღება სთხოვა ვასილ მჭავანაძეს. მჭავანაძეს კავსაძე ძალიან უყვარდა, რამე თუ ის პატივს ცემდა კავსაძეების დინასტიას. ერთხელ ოპერაში კონცერტის დროს, სახელმწიფო ანსამბლმა, რომელსაც იმ დროისთვის ხელმძღვანელობდა ანზორ კავსაძე, ბრწყინვალედ შეასრულა ჩაკრულო, ხალხი ფეხზე ადგარი „ბისზე“ ითხოვდა გამეორებას. ვასილ პავლოვიჩი სცენაზე ავიდა. ყველა გულდისწერს მიესალმა, ხოლო კავსაძეს მამაშვილურად ჩაეუფლა და რამდენჯერმე აკოცა. მეგობრები ეს ის დრო იყო, როდესაც დასავლურ ჯაზურ მუსიკას ვერ ფარულად უსმენდა მაშინდელი ახალგაზრდობა, ხოლო შემდეგ თანდათან ღიად გადაერთო და შესამჩნევი იყო, რომ ბევრი მათგანისთვის ფოლკლორული მუსიკა ნაკლებ ღირებული ხდებოდა. დედაქალაქის მაშინდელი ინტელექტუალურ ნაწილს, რომლისთვისაც სულ ერთი არ იყო ეროვნული ღირებულებები, თითქმის პროტესტის ნიშანიც კი იყო, რომ ფეხზე ადგარამა მეორედ მოითხოვა ჩაკრულოს გამეორება. ახალგაზრდობას, სტუდენტობას, ირონიული და არასრულფასოვნების კომპლექსი უჩნდებოდა ქართულ-ხალხური სიმღერების მიმართ. კარგად თქვა მაშინ ნოდარამ ნოდარ დუმბაძემ: ჩვენი ხალხი იმდენად ნაზღვარია უცხო მოსახლის მიმართ, რომ ხშირ შემთხვევაში ვერ აცნობიერებს, ეს მისთვის კარგია თუ ცუდი. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: ერთხელ, ერთი მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავით მინეველი მე და სალამურის ჯადოქრად წოდებული, ჩემი მეგობარი ომარ კელაპატიშვილი. სუფრა იყო ჩვეულებრივ ახალგაზრდული. რამდენიმე საღამო რძელის შემდეგ სუფრაზე ატყდა ისეთი ჯაზური რიტმების კორინტული, ისეთი შევიძობი მანჭვა გრესვაში, ისეთი ბრაზუნი, რომ მე და ცხოველური კელაპატიშვილი, ადგილს ვეღარ ვპოულობდით. ეს მუსიკა ჩვენთვის ყოველად მიღებული იყო. ან არ გვესმოდა ეს მუსიკა და ამისთვის „უნიჭანი“ ვიყავით ან ჩვენს გემოვნებას არ აკმაყოფილებდა და არც შემდგომში მოუხდენია ჩვენში რაიმე ცვლილება. პირადად მე ყოველთვის ერთგული ვიყავი და ვრჩები, ხალხური სიმღერის და შემდეგ კლასიკური მუსიკის ერთგული. მე და ომარმა ვცადეთ რაიმე ცვლილება შეგვეტანა ჩვენს სასარგებლოდ და ნამოვიწყეთ სიმღერა „ბერიკატი“, იმ იმედით, რომ ბანს მოგვეცემდნენ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდით, უცბათ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი თვალებით დაგვიწყეს ცქერა, თითქოს ამაზონის ხეობიდან ვიყავით მოსულნი და ეს სიმღერა მათ არასოდეს არ გაეგონათ. მე და ომარმა, როგორც იქნა, ორ ხმაში ჩავამთავრეთ ეს სიმღერა. მე ავიღე ღვინოთი სავსე ჭიქა, მაღლობა გადავუხადეთ მასპინძელს, გულთბილი მიღებისთვის და შეიძლება ითქვას, დემონსტრაციულად დავტოვეთ სუფრა. ომარს უთხარია: ჩემი ომარ, წავიდეთ, სანამ ძია შენი მოვა და ერთი კარგად მიგვეტყავს მეთქი. მეგობრები მაპატიეთ, თემას რომ გადავუხევე, ანზორ კავსაძეს სთხოვა მიღება ვასილ მჭავანაძეს მანქანის მიღების თაობაზე. მჭავანაძე კავსაძეს ძალიან გულთბილად შეხვდა, მიიწვია მცხეთასთან სასაუბროდ. მჭავანაძემ მოიკითხა და ჰკითხა ანზორ კავსაძეს: თუ რამ შეაწუხა, როგორც შემდგომში კავსაძე ვიყავი, უთხრა: დიდი ხანია მსურს ავტომანქანის გაზ-24-ის შექმნა, მაგრამ ვერაფრით ვერ მიაღ-

წიე. მჭავანაძე დაპირდა, რომ აუცილებლად შეუსრულებდა ამ სურვილს, შეუცვლიდა ბინასაც და სადმე ქალაქთან ახლოს გამოუყვოდა ავარკასაც. ანზორ კავსაძე გულთბილად დაემშვიდობა მას და ძალზე გახარებული გამოვიდა მისი კაბინეტიდან. ერთი სართულის ქვევით ჩამოსვლის შემდეგ, გაახსენდა მას, რომ იმდროინდელ მთავრობაში აუცილებლად დავპირდებოდნენ, მაგრამ არ ასრულებდნენ. ის ისევე ატრიალდა მჭავანაძის კაბინეტიდან და მდივან ქალბატონს სთხოვა რაღაც დამერჩა სათქმელიო. ნარბეკიულმა მდივანმა უხალისოდ შეატყობინა მჭავანაძეს სიტუაცია და პავლოვიჩმაც არ დააყოვნა და უთხრა-გამოატარეთ. კავსაძე შევიდა მჭავანაძის კაბინეტში, მჭავანაძე გაკვირვებული ფეხზე წამოაგდო და ეკითხება: რაშია ანზორ საქმე? ხომ მშვიდობაა? ვასილ პავლოვიჩ, იმდენად ვარ შემინებულნი ამდენი დამირბით, რომ ყველაფერი ეს თქვენი ნამდვილი, სუფრაზე ნათქვამი სადღეგრძელოსავით ხომ არ დარჩებაო. მჭავანაძეს იმდენი უყვინია ამ იუმორზე, რომ გრაფინიდან ჭიქაში წყალს ასხავდა და ყლუპ-ყლუპობით სვამდა, რომ არ დამჩნავლიყო, და უთხრა: რადი, ნადი, ყველაფერი კარგად იქნებაო.

დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდი მანქანის შექმნას, რომელიც მთავრობას უნდა გამოეყო ანსამბლ „რუსთაისთვის“ და აი დადგა ნანატრი დღეც. როგორც იქნა დაადგა საშველი, „რუსთაისთვის“ ორი ავტომანქანა გამოუყვეს. ერთი მისცეს ანსამბლის ერთ-ერთ წევრს და მეორე მე. რა თქმა უნდა ძალიან გახარებული ვიყავი. სანამ მანქანას შევიძებდი, მიზნად მქონდა შემომეველო ჩემი პატარა ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭული და ამას ხმა-მაღლა ვეუბნებოდი ხოლმე ჩემს მეგობრებს. პირველი სადაც უნდა წავსულიყავი, ეს უნდა ყოფილიყო, დიდი ვაჟას სამშობლო — ჩარგორი, რამეთუ ვაჟა ფშაველა ძალიან მიყვარს. გარდა ამისა, როგორც მამაჩემის გადმოცემიდან ვიცი, ჩემი წინაპრებიც ფშაველიან ყოფილან, გოგოლაურის გვარისა. როცა ბავშვი ვიყავი, მამაჩემი ხშირად მესაუბრებოდა ჩვენი წარმომავლობის შესახებ, რომ ფშავეში არის სოფელი ყვარა და ამ სოფლიდან იყვნენ გადმოსულები ყვარელში ჩვენი წინაპრები. ყოფილან ძმები და ჰყოლიათ ერთი და: სეფორა, მათიკა, ყაჭალა, ომანა და მზექალა. დღესაც არიან ყვარელში მათიკაშვილები, სეფაშვილები, ხოლო ომანიშვილები და ყაჭაშვილები უკვე აღარ გვხვდებიან. როგორც ეტყობა, ჰამლეტს ჩემი და პირებები კარგად დაუმახსოვრებია და ერთ დღესაც მეუბნება: — ყმაწვილო, პირობაზე როგორ ხარ?! მე ცოტა გამიკვირდა, ვერ მივხვდი, რომელ პირობაზე მეკითხებოდა. ჰამლეტ, რასთან დაკავშირებით?! ყმაწვილო, აბა გაიხსენე, სანამ მანქანას შევიძებდი როგორ იქადებოდი, მთელ საქართველოს შემოვივლიო. რა თქმა უნდა მე გამახსენდა ჩემი ნათქვამი, უკან არ დავიხიე და მივუთხრე: — ჩემო დიმიტრიჩ, სადაც მეტყვი იქ წავიდეთ! შევთანხმდით და დავთქვით დრო, რათა წავსულიყავით ჩარგალში. აგვისტოს ბოლო რიცხვები იყო, ერთ მშვენიერ კვირა დღეს, მე და ჰამლეტი სახეიმო განწყობილებით წავიდით დიდი ვაჟას სამშობლოსაკენ. ცოტაოდენი დურუჯისპირული ვიახლე თან, გზა და გზა ავიღეთ სუფრისთვის საჭირო პროდუქტი და ლიონ-ლიონით გავუყვეთ გზას. მეგობრები, წინა საუბრებში ვახსენე, რომ ჰამლეტ გონაშვილი 50-იან წლებში მუშაობდა ექსკურსია მძღოლად. ეს მხარე მან ზედმიწევნით კარგად იცოდა და გზა და გზა ძალიან საინტერესო ამბებს მიყვებოდა. როგორც იქნა მივედი თინვალის წყალსაცავთან, გადავუხევეთ მარჯვნივ და ნელა-ნელა ვინწყით მაღლა ასვლა. როდესაც მივუახლოვდით იმ დონეს, რომ თინვალისთვის მაღლიდან გადმოგვეხედა, ჰამლეტმა მითხრა, რომ გამეჩერებინა მანქანა. გადმოვივლით მანქანიდან და ჩვენს წინ საოცარი სილამაზე გადაიშალა. ჰამლეტი გულდანყვებულნი მეუბნებოდა, რომ წყლის ქვეშ ბევრი ისტორიული და და-

სახლებული პუნქტი მოყვარო. მთხოვა, რომ მანქანიდან გადმომელო ღვინოთ სავსე 10 ლიტრიანი ბალონი და თითო ჭიქით, საქართველოს სადღეგრძელო დაგველია. ჩამოვასხი ღვინო ჭიქებში და ჰამლეტმა წარმოსთქვა საქართველოს სადღეგრძელო ამაღლებულ ტონში, უდიდესი მჭერმეტყველობით და ემოციით. მიუხედავად იმისა, ჩვენ რანაირი ხარისხის სუფრასთან არ ვმჯდარვართ ერთად ჩვენი ცხოვრების მანძილზე, არც მანამდის და არც შემდეგ, მისგან ასეთი მჭერმეტყველური, საქართველოს სადღეგრძელო არ მომისმენია.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და აღარ მახსოვს, მაგრამ ეს სადღეგრძელო რომ ჩანერილიყო ალბათ, ნიშუმი იქნებოდა ორატორული ხელოვნებისა და საპატიო ადგილს დაიკავებდა სათამაშო ინსტიტუტის ხელოვნებაში. შემდეგ ისევე ჩავსხვდით მანქანაში და გავაგრძელეთ გზა. თან გზადაგზა ჰამლეტს ვუყვებოდი მამაჩემის მონაცემებს მასზე, რომ ჩემი წინაპრები იყვნენ ფშაველები, სოფელ ყვარადან და გვარად იყვნენ გოგოლაურები. ჰამლეტი ყურადღებით მისმენდა და მითხრა: — ეგ გასაკვირი არ არის, იმ დროს ხშირად ხდებოდა მიგრაცია მთიდან ბარში და ეკრძოდ, კახეთში. და მას შემდეგ ხშირად ხუმრობით მეტყვოდა ხოლმე: — ბიჭო, ფშაველო, გოგოლაურო, როგორა ხარო! როგორც იქნა მივედი ვაჟას სახლამდე, მანქანა გავარჩერეთ. ჰამლეტი მეუბნება: — ახლა სიურპრიზი უნდა მოგვინყო, ყმაწვილო! გამიკვირდა და ვეკითხები: ჰამლეტ, რა სიურპრიზი? აბა შენგან მარცხნივ გაიხიე ეზოში ვინ ზის, აი იმ სკამზე... მე გაკვირვების ნიშნად მხრები ავიჩიქე და ვეკითხები: — ჰამლეტ, თუ ღმერთი გნაშ, მითხარი რა ხდება? კარგი მაშინ, შევიდეთ ეზოში. გადმოვივლით მანქანიდან, შევალეთ ეზოს კარები ისე, რომ მოხუცს არც გაუგია. მივედი ახლის და მივესალმეთ. პირველი ჰამლეტი მიესალმა. — გამარჯობათ, ქალბატონო გულქანი მან ასანია თავი, შემოგვხედა, თან მატყლს ჩეჩავდა საჩენელზე. — ღმერთმა გაპარჯობა არ მოგიპოვოთ, შვილო? გვითხრა მკვეთრი ფშაური კილით. საიდან მოსულხართ? ჰამლეტმა უთხრა, რომ ეს ახალგაზრდა ამოვიყვანე, თქვენი გაცნობა სურს. მე გამეცინა, იმიტომ რომ არცკი ვიცი დიდი თუ ვაჟას შვილი შეიძლება აქამდე ცოცხალი ყოფილიყო. ჩემთვის მართლაც დიდი სიურპრიზი იყო. როგორც მოგახსენეთ, ჰამლეტი ექსკურსიამძღოლად მუშაობდა ადრეულ წლებში და ხშირად ამოჰყავდა ხოლმე აქ ტურისტები და შეეცადა ვაჟას შვილისთვის გაეხსენებინა თავისი თავი, მაგრამ ის იმდენად უკვე ღრმად მოხუცი იყო, რომ ვერ გაიხსენა. შემდეგ წამოვდგა სკამიდან და მიგვიპატიჟა მაგიდასთან, ცივ წყალს მოგვიტანა გვითხრა და წავიდა. ჩვენ მართლაც ჩრდილში მდგომ მაგიდასთან ჩამოვჯექით და ჰამლეტმა მთხოვა, მანქანიდან გადმომელო სუფრისთვის საჭირო ატრიალები და მითხრა: შეესულიყავი და დამეთვალე რებინა შეგნით სახლ-მუხუზეში. მე ყველაფერი გადმოვიღე მანქანიდან, მივიტანე მაგიდასთან და ამ დროს საიდანაც გამოჩნდა ორი ადგილობრივი ფშაველი, რამაც ძალიან გაგვახარა, რომ მართლში აღარ ვიქნებოდით. მივესალმეთ ერთმანეთს, მივიპატიჟეთ მაგიდასთან, გვერდით მოვისვით ვაჟას შვილი გულქანიც, თამადა მთავრობით ერთ-ერთ ახალგაზრდობილ მეგობარ ფშაველს და შევუდექით პურობას. ვინაიდან ჩემთვის ღვინო დავლევ არ შეიძლებოდა, გადავწყვიტე დრო მომეყო. ბოლოში მოვუყვად მათ და შევედი მუხუზემის დასათვალე რებოლად. მუხუზემი შედგებოდა ორი თუ სამი ოთახისაგან. რაც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ეს იყო, ბუხართან მდგომი ვაჟას დროინდელი მაგიდა, თავისი სკამებით და ხალიჩაგადაფარებული პატარა ტახტით, რომელზეც ალბათ დალილი ვაჟა ისვენებდა ხოლმე. ძირითადად ეს იყო ის ადგილი, სადაც დიდი ვაჟა ქმნიდა თავის უკვდავ შედეგებს. გამახსენდა დიდი ილიას სიტყვები, როდესაც



ვაჟას ლექსი მოუტანეს დასაბეჭდად „მოხუცი მონადირის ნაამბობი“, მაშინ ილიამ თქვა: „ჩვენ მოხუცებმა უნდა დავდოთ კალამი და გზა დავუთმოთ ახალგაზრდებს“. მე გამოვნივ სკამი და ჩამოვჯექი ბუხრის პირას, ნამიერად დავხუჭე თვალი და ფიქრებით წავედი იმ საუკუნეში, იმ წლებში, როცა ვაჟა ფშაველა იჯდა ამ სკამზე და ბუხრის შუქზე წერდა თავის გენიალურ „შვილის ნუკრის ნაამბობს“. დიდ სიღუბნებში ცხოვრობდა ვაჟა ფშაველა. მთელი ცხოვრება ლუკმა პურისთვის იბრძოდა. მიუხედავად ამისა, მას აძლებინებდა დიდი პოეტური შინაგანი შემოქმედებითი ენერჯია და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ამას ყველაფერს წინ ვერ დაუდგებოდა ვერც სიღარიბე და ვერც კიდევ სხვა რამ.

როგორც ისტორიიდან იკვეთება, ილია მას დროდადრო ეხმარებოდა როგორც შექმლო, მაგრამ მარტო ილია ხომ არ იყო იმ დროინდელ საქართველოში. ვაჟა ფშაველა სამოციქულო იყო, რომ გარდაიცვალა საშინელ სიღარიბესა და გაჭირვებაში. მართალია, მაშინ არ გვექნა სახელმწიფო, მაგრამ ხომ იყო ქართველი საზოგადოება, ხომ იყვნენ ქართველი მეცენატები. მაგრამ ერთი უბედურება გვეჭირს ქართველებს, როდესაც ჩვენ გვერდით იმყოფება დიდი ადამიანი, ნიჭიერი პიროვნება, ჩვენ მას ვერ ვაძინებთ, რადგანაც გვეგონია, რომ ეს ნორმია, ასე უნდა იყოს და სულ ასე იქნება.

ასე იყო ჰამლეტთან მიმართებაშიც, სანამ ცოცხალი იყო და ჩვენთან იყო ბევრი ვერ ამჩნევდა თუ არ ადგილი ეკავა მას ქართულ ხალხურ სიმღერაში. ხოლო გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ დაარჩა დიდი სიკვარით და ეს ყველაზე მეტად აისახა ანსამბლ „რუსთაის“ შემდგომ ცხოვრებაში. ის ვაკუუმი ჯერაც ამოსასვება, და უფრო მეტსაც გეტყვით: ხშირ შემთხვევაში როგორ მდგომარეობაში ვაყენებ ჩვენს გამოჩენულ დიდ ადამიანებს, რას არ მოვუგონებთ, რა შეუჩინებელი არ მივაყენებთ. გარდაიცვლება და თავში წავიშენთ ხელებს, ეს რა დაგვეგონათაო.

ცოტა ხნის წინ ატყვილ საგაზეთო პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილს ქართველი ერის მტერი უწოდეს. შე მამაცხოველულო, პირადად შურმა და მტრობამ, როგორ უნდა დაგინებლოს გონება, რომ ავსა და კარგს ვეღარ არჩევდ. შეიძლება მტერი უწოდო კაცს, რომელიც ქვეყნის გარეთ შოულობს ფულს და შენს ქვეყანას ახმარს, აშენებს ტაძრებს, აშენებს გზებს, თეატრებს, ხელფასებსა და პენსიებს უნიშნავს ხალხს და რამდენი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. მე აღარ მინდა დავკონკრეტდე, მაგრამ ეს ხომ ელემენტარულია უზნეობა და უმადურობაა, როგორც ერთმა დიდმა ქართველმა მწერალმა თქვა: „ უმადურობა ადამიანის ავზნეობის ერთი ერთი გამოხატულებააო“ სად არის აქ ლოგოკა? მე მგონი ლოგოკა იქ არის, სადაც ისინი არ არიან, თუმცა როცა კაცი ჭაობიან ადგილას საყანე ადგილს აშხადებს, არ უნდა გაუკვირდეს, რომ მის გარშემო აუცილებლად იქნება ბაყაყების ყიყინი.

ასეა, რაც უფრო მეტია ხოლმე ადამიანში პატრიოტიზმი, სიმამაცე და მამულიშვილობა, მით უფრო მეტად ცდილობენ ჩვენი საზოგადოების მტრები მის დალუპვას. მე ვფიქრობ ზუსტად ამ შემთხვევასთან ვაჭას ბრწყინვალე ლექსი გიორგი სააკაძეზე, როგორც თვითონ წერს, ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ დანერგა:

გიორგი სააკაძეს ცალკე შენა ხარ და შენს პირდაპირ მეორე სახე მე მესატყება, შენი სამშობლო საქართველოსი რამდენი ფიქრი მწვავეს მტვრავდა. თუ ვერ ვიგუებ, ვერ შევიფერეთ, კარგი შეიღობა რად გვებადლება? შვილის სიკეთე მშობელს შემუზდეს, ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება? ცრემლები მალრჩობს,

ვეღარას ვამბობ კარგი დალუპვა რად გვენატრება, ჩვენი შვილისა, ჩვენიც ძისა, ცრემლები მალრჩობს,

ვთრთი მესხათრება. ჩემო სამშობლოო, ჩემო სიცოცხლეო, არ გეკადრება! არ გეკადრება! მეგობრებო, დამეთანხმებით ასეთი საყვედურნარევი ლექსის დანერგის უფლება თავისი სამშობლოსადმი ილიასთან ერთად ვაჭასაც აქვს. ვაჭას ბუხართან ჩამოიჯდარს, ფიქრებში ნასულს, დრო უცებ გამეპარა.

— ეპეი... გოგოლაურო, აღარ მოდიხარ ჩვენთან?! — მესმის სუფრიდან ხმა.

— რას შვრები, ვაჭას ესაუბრები? — ეს ჰამლეტის ხმა იყო. მე სასწრაფოდ გარეთ გამოვედი და მივედი სუფრასთან. ისინი უკვე კარგად შეზარბოშებულნი დამხვდნენ.

ჰამლეტი უკვე თავის სტიქიაში იყო. მან შემაღვებს თურმე კარგად გააცნო ჩემი თავი. მეც ფშაველ კილოზე მოვუქციე, (რომელიც ძალიან მიყვარს) და ვუთხარა: — თქვენი საიდან იცით ჩემი წინაპრების გვარი?

— საიდან ვიცი და ჰამლეტმა მითხრა. მე ჯერ კიდევ არ ვიცი სწორია თუ არა! ვუპასუხე მე. — სწორი იქნება, სწორი.

— რატომ იქნება სწორი? — იმად, რომ გოგოლაურები დიდი გვარი იყო ფშაველი, თანაც კარგი ვაჟაკები ჰყავდათ. აი, ასეთი შენ რომ ხარ... შემაკო ფშაველმა. მე გამეცინა, მაღლობა გადავუხადე შექმნისათვის, მხარზე ხელი დავკარ მეგობრობის ნიშნად და ვთხოვე ჩამომისხი ღვინო ჭიქაში — მეთქი. მან ღვინო ჩამომისხა. ავედექი ფეხზე, ვადღეგრძელო დიდი ვაჟა, ვაჭას ფუძე და კერა, მთელი ფშავი. ვადღეგრძელო ვაჭას შვილი გულქანი და ჭიქა ბოლომდე გამოვცალე. შემდეგ გულქანმა ფშაველებს გამოუტანა თავისი საძინებლიდან ჩონგური და მათაც ძალიან საინტერესოდ, თავისებურად ჩამოამღერეს ფშაველ კილოზე. შემდეგ ჩვენ შევენაცვლეთ სიმღერით და მე და ჰამლეტმა თუ რამ ვიცოდით მითულურ კილოზე ყველაფერი გადმოვაფრქვიეთ.

დასასრული შემდეგ ნომერი

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ილია მგაქალაქაშვილს!

სათნოების სახლის დირექტორს, ქალბატონ თამარ ნაზრიშვილს!

ყვარლის რაიონის სათნოების სახლში შემთხვევით თქვენს — ყვარელში, ქუჩაში წევს ახალგაზრდა მამაკაცი უპატრონოდ, ავადაა! — ყვარლის რაიონის სათნოების სახლის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ნაზრიშვილმა მაშინვე მას მიაშურა და აღმოჩნდა ყვარლის რაიონის სათნოების ბენეფიციარი სოსო ნაზრიშვილი. სასწრაფოდ აღმოუჩინა პირველადი დახმარება, სასწრაფოს დახმარებით გადაიყვანა ყვარლის რაიონის პოსპიტალში, შემდეგ სამკურნალოდ თბილისში. მოუხედავად პაციენტის მძიმე ავადმყოფობისა, ქალბატონმა თამარ ნაზრიშვილმა მას სიცოცხლე გაუხანგრძლივა და გაარდაცვალების შემდეგაც ბოლომდე უპატრონა. მაღლობა ყვარლის რაიონის სათნოების სახლის დირექტორს, ქალბატონ თამარ ნაზრიშვილს და ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ილია მგაქალაქაშვილს მზრუნველობისთვის, შრომისთვის, სიკეთისთვის, რომ ყველაზე და თვითუღად აღმინაზე არიან პასუხისმგებლები. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და გამრავლებას.

პატივისცემით მერი პატარაქიშვილი

1 ივლისიდან კომპანიებს დიდი რაოდენობით დავალიანება ჩამოენიებათ

საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები რეგულაციური და ის ეკონომიკური ეფექტის მომცემი იქნება, — ამის შესახებ საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელმა პრეზიდენტმა მიხეილ ჭელიძემ ფინანსთა მინისტრთან მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების შეხვედრის დასრულების შემდეგ ისაუბრა.

მისი თქმით, კომპანიები აღარ საქმიანობენ იმის გამო, რომ მათ ძალიან დიდი დავალიანებები ჰქონდათ და ეს დავალიანებები გაიყინა, ძალიან დიდი თანხები ჩამოენიებათ. ამას საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები ითვალისწინებს, რომლის ამოქმედებაც 1 ივლისიდან არის დაგეგმილი.

„თუკი კომპანია შემოსავლების სამსახურს წარუდგენს ერთ საბანკო ანგარიშს, რომელსაც ყადაღა ადევს და ეს თანხა უკვე გაყინულია, სხვა ანგარიშებზე შეიძლება ყადაღა მოიხსნას“, — განაცხადა მიხეილ ჭელიძემ.

ცვლილებების ამოქმედება მიმდინარე წლის 1 ივლისიდან იგეგმება, თუმცა, ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, თუ ბიზნესის მხრიდან არგუმენტები იქნება, შესაძლებელია, ცვლილებები 1 ივლისის

ნაცვლად მომავალი წლიდან ამოქმედდეს, რათა მათ დამატებითი პრობლემები არ შეექმნათ.

„ჩვენ ვაგრძელებთ ბიზნესთან კომუნიკაციას. ვაცნობთ ჩვენს საკანონმდებლო წინადადებებს, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს გავაცანით როგორც მოგების გადასახადის რეფორმა, ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილში დაგეგმილი სიახლეები. ვფიქრობთ, ეს ეკონომიკის განვითარებისთვის კარგი სტიმული იქნება“, — განაცხადა ხადურმა.

გაზეთი „ბანკები და ფინანსები“



(„მისგან გასწორდეს ყოველი“...)

1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ხელისუფლებაში ტრიუმფირატი — მალენკოვი-ხრუშჩოვი-ბერია მოვიდა. საბჭოთა კავშირში დაიწყო ლიბერალიზაციის პროცესი, რომელიც ისტორიაში „გაღივების“ სახელწოდებით შევიდა. რუსეთი ხომ პოლიტიკური „კურობუების“ ქვეყანაა. პოსტსტალინური ეპოქის პირველ რეფორმატორადაც არა რომელიმე მეცნიერი, არამედ ლავრენტი ბერია მოგვევლინა. (ფოტოგალერეა)

„დაპატიმრებულია „ხალხის მტერი“ ლავრენტი ბერია“! — „პენსნიანი კაცის“ აღსასრული

და ეროვნული ჩაგვრა. ბერია სწორედ ამის აღმოფხვრას შეეცადა. ამას გარდა, ხვდებოდა, რომ დასავლური მონიანე ტექნოლოგიების მოზიდვის გარეშე რუსეთის იმპერიის მოდერნიზება ჩაიშლებოდა. გელენის თქმით,

ეს ქვეყნები მოსკოვის ორბიტაში უნდა დარჩენილიყვნენ. სწორედ ბერიას მხარდაჭერით დაიკავა უნგრეთის პრემიერის პოსტი რეფორმატორმა იმრე ნადმა. ლავრენტი პავლეს ძე იუგოსლავიასთან ურთიერთობის აღდგენასაც მოითხოვდა, ყველაზე საინტერესო კი მისი პოზიცია გერმანიასთან დაკავშირებით იყო. ბერია მიიჩნევდა, რომ ე.წ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ) ანაქრონიზმს წარმოადგენდა, ამიტომ გაცილებით მოგებიანი იქნებოდა ერთიანი დემოკრატიული და ნეიტრალური გერმანიის შექმნა, სადაც არც რუსული და არც ამერიკული ბაზები არ იქნებოდა. გერმანიის დაზვერვის უფროსის, გელენის შეფასებით, გერმანიის გაერთიანების ბერიასეული სქემა



შუკოვს ბერიასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ისიც მოხსენებოდა, რომ შუკოვი მას დასცინოდა და მეგობრების წრეში კლუხუნს უწოდებდა. ბოლო მომენტამდე იყოყმანა ხრუშჩოვმა. მოსკალენკო კი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ არმიის მხარდაჭერის გარეშე ბერიას ვერ მოერეოდნენ და რომ შუკოვის ავტორიტეტი არმაში შეურყეველი იყო. ბოლოს და ბოლოს, ხრუშჩოვი დაყაბულდა. ნიკიტა სერგევიჩი მიხვდა, რომ შუკოვის გარეშე მართლაც ვერაფერს გახდებოდნენ. მი-



როგორ ატყუებდა ჭაუშვი ბერიას დასავლეთის

ბერია არა მხოლოდ პროფესიონალი ჩეკისტი იყო, არამედ ანალიტიკური აზროვნებითაც გამოირჩეოდა. ის არა მხოლოდ უნიკალურ ინფორმაციებს ფლობდა, არამედ მათი საშუალებით სათანადო დასკვნების გამოტანის უნარსაც. ბერია ხედავდა, რომ საბჭოთა იმპერიის მოდერნიზაცია ესაჭიროებოდა. დასავლეთი გერმანიის დაზვერვის მაშინდელი უფროსი რაინჰარდ გელენი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ბერიას საქმიანობას თვალს უღივდესი ყურადღებით ვადევნებდი. მისი გეგმა მართლაც გაბედული და შორს მიმავალი იყო. მეც ანალიტიკოსებს მოვთხოვე: ფაქტები საკმაოდ გამაჩნია, თქვენ, ჩემო კარგებო, თუ შეიძლება უმოკლეს ვადაში წარმოიდგინეთ დასკვნა, უქმნის თუ არა ბერიას გეგმები საფრთხეს ევროპასა და კერძოდ, გერმანიას“.

1966 წელს გელენმა ინტერვიუ მისცა პრესას, სადაც დაზვერვის შეფი აღნიშნავდა, რომ ბერიამ ზუსტად დაიჭირა საბჭოთა რეჟიმის უმთავრესი სისუსტეები: პარტაპარატი, რომელიც იმ დროისთვის უკვე გადაიქცა პარაზიტად სახელმწიფოს სხეულზე; ზედმეტად ცენტრალიზებული ეკონომიკა

სინამდვილეში ხაფანგი იყო. ნეიტრალური ერთიანი გერმანიის შექმნა და ამერიკული ბაზების გატანა ბიჭის მისცემდა მსგავს პროცესებს იტალიასა და საფრანგეთში. შემდგომში ეს სკანდინავიის ქვეყნებზეც გავრცელდებოდა და ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში ერთადერთი მოკავშირის, ინგლისის ამარა რჩებოდა.

შეთაშუალების მიზანმიმართული

ლავრენტი ბერიას რეფორმატორულმა პროგრამამ პარტაპარატი საგონებელში ჩააგდო. თავად ბერიამ ამას ანგარიში არ გაუწია. ამერიკელი ისტორიკოს არმსტრონგის აზრით, ბერიამ გამარჯვება ნადრევედ ირწმუნა, ამიტომ არავის მოერიდა და მეორე არანაკლებ გამაღიზიანებელი ნაბიჯი გადადგა. 1953 წლის 12 ივნისს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში ბერიას მოხსენების საფუძველზე შემდეგ გადაწყვეტილებას იღებს:

1. პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს დაევალოს ნაციონალურ რესპუბლიკებში მდგომარეობის ძირითადი შეცვლა, ბოლო მოეღოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებას.

პარტაპარატის ძალაუფლების შეზღუდვა, ეროვნული ჩაგვრის შეწყობა და მონიანე დასავლური ტექნოლოგიების მოზიდვა — აი, ასეთი გახლდათ ბერიას გეგმები საშინაო პოლიტიკაში. საგარეო პოლიტიკაში კი იგი ევროპიდან ამერიკელთა გაძევებასა და ევროპის ე.წ. ფინეთიზაციას ესწრაფოდა. გერმანელმა ანალიტიკოსებმა მოკლე და ლაკონური დასკვნა წარუდგინეს გელენს: ბერიას რეფორმები საფრთხეს უქმნის როგორც გერმანიას, ისე მთელ ევროპას.

2. დაჩქარდეს ადგილობრივი ეროვნებების წარმომადგენელთა მომზადებისა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის პროცესი. ნომენკლატურული მუშაკები, რომლებმაც ადგილობრივი ენა არ იციან, გამოხმობილ იქნენ სკკპ ცეკას განკარგულებაში.

3. ნაციონალურ რესპუბლიკებში საქმის წარმოება გადავიდეს ადგილობრივ ენაზე. არმსტრონგის მოსაზრებით, საბჭოთა კავშირისთვის ეს მართლაც პერიოდი აუცილებელი იყო, თუმცა ამ გადაწყვეტილებათა დაჩქარებულად

მიღებამ რუსების ველიკოდერჟაველი გრძობები შელახა. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ ხომ რუსული შოკინიზმი ძალიან გააძლიერა. ამიტომ ბერიას ამ ნაბიჯმა მხოლოდ მისი აღსასრული დააჩქარა. „ბერიას რომ თა-



ვისი პროგრამა განებორციელებინა, ასგზის სტალინი უნდა ყოფილიყო“, — წერს ცნობილი ისტორიკოსი და სოცეტოლოგი აბდურაჰმან ავტორხანოვი.

თუმცა რეალური მიზეზი მაინც ის იყო, რომ პარტაპარატმა ბერიას სახით დაინახა პერსონა, რომელიც ძალაუფლებასა და პრივილეგიებს ეცილებოდა. აპარატიც ხრუშჩოვის გარშემო დაირაზმა და ნიკიტა სერგევიჩი ბერიას წინააღმდეგ შეთქმულების უმთავრესი ორგანიზატორი გახდა.

დაპატიმრება

ბერიას წინააღმდეგ შეთქმულება დიდხანს და გულმოდგინედ მზადდებოდა. ბოლო, გადაწყვეტილება იმ 1953 წლის ზაფხულში შევიდა. მაშინ გდრ-ში ანტიკომუნისტურმა აჯანყებამ იფეთქა და ბერია სასწაულოდ გაემართა მის ჩასაქრობად. ლავრენტი პავლოვიჩის არყოფნისას ხრუშჩოვმა უკანასკნელი სამზადისი დაასრულა. ზოგიერთები ხრუშჩოვის ოპერაციაში შუკოვის ჩართვას ურჩევდნენ, მაგრამ ხრუშჩოვი ყოყმანობდა. ოპერაციაში შუკოვის ჩართვას ხრუშჩოვს მისი ძველი მეგობარი, მარშალი მოსკალენკოც ურჩევდა. ხრუშჩოვი მაინც ყოყმანობდა. ნიკიტა სერგევიჩმა იცოდა, რომ

უხედავად ამისა, შუკოვის იარაღი არ ანდეს. ოპერაციაშიც უკანასკნელ მომენტში ჩააბეს. სხვა სამხედროებში კი შეიარაღებული იყვნენ.

1953 წლის 26 ივნისს თვითმფრინავი, რომელშიც ბერია იჯდა, მოსკოვში დაეშვა. ბერიას განუცხადეს, რომ ცეკას პლენუმი ეწყობოდა და ისიც აეროპორტიდან პირდაპირ პლენუმზე გაემართა. სინამდვილეში ეს მახე იყო.

სხდომა დაიწყო თუ არა, მალენკოვის თანაშემწე სუხანოვმა მეორე ოთახში დადარაჯებულ სამხედროებს პირობითი ნიშანი მისცა. იარაღმომარჯვებული სამხედროები ოთახში შემოვიდნენ. გაისმა მტყეარე ხმა: — ხელები მაღლა! მარშალმა მასკალენკო ბერიას იარაღი პირდაპირ შუბლზე მიადო, მალენკოვმა კი წარმოთქვა: — მოქალაქე ბერია, თქვენ დაპატიმრებული ხართ!

ლავრენტი ბერიას წინააღმდეგობა არ გაუწევია, ხელები მორჩილად ასწია. შუკოვმა კარგი მაქებარეობი ჯიბეები მარად დაუჩხრიკა. — გაიყვანეთ! — გასცა განკარგულემა მალენკოვმა.

სამხედროებმა ბერია გაიყვანეს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება



ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA990115525971516

№ 177

18 / მარტი / 2016 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 მარტის #134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. შეტანილ იქნას ცვლილება ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 მარტის №134 ბრძანებაში და გამოცხადებული საპრივატიზებო ქონების ნუსხიდან ამოღებულ იქნას ლოტი №281182 - ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“ E 320.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

საფუძველი: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტი და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ილია მჩექალაშვილი

დასაწყისი მე-6 გვ.-ზე

ლოჯის ბედი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

წყალნაღებულის ხავსი...

მეორე დღეს საბჭოთა გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ დაპატიმრებული „ხალხის მტერი“ ლავრენტი ბერია. მას ბრალი დასდეს აშშ-ის, ინგლისის, გერმანიისა და იუგოსლავიის (!) სასარგებლოდ ჯაშუშობაში. არაერთი კოლეგის მსგავსად, ბერიამ საკუთარ ტყავე იწინა ის, რასაც აქამდე სხვებს უკეთებდა.

ბრუშოვი და მისი თანამაზრე-

ალსასრული

ოფიციალური ვერსიით, ლავრენტი ბერია დახურულმა სასამართლომ გაასამართლა და დახვრტა მოუსაჯა. ბერი მკვლევარი ამას ეჭვქვეშ აყენებს. აბდურაჰმან ავტორხანოვი მიიჩნევს, რომ ლავრენტი ბერია არ ესწრებოდა სასამართლოს, რადგანაც იგი უკვე კარგა ხნის დახვრტილი იყო. ამ მოსაზრების გაბათილება ან დადასტურება შეუძლებელია. სამაგიეროდ, შეგვიძლია ზუსტად აღვადგინოთ ბერიას უკანასკნელი



„დაპატიმრებულია „ხალხის მტერი“ ლავრენტი ბერია“! — „კენსენიანი კაცის“ ალსასრული

ნი ბერიას დაპატიმრების შემდეგაც თავს მშვიდად ვერ გრძობდნენ. კანონის თანახმად, ლავრენტი შინაგარეშის ციხეში უნდა მოეთავსებინათ. სრუშოვის ამისი ემინოდა, იქაურობა ბერიას აგენტურითაა სავსე და გაგვეტყვევო. ამიტომ ბერია მოსკოვის სამხედრო ოლქის სპეციალურ ბუნკერში მოათავსეს. მას არა ჩეკისტები, არამედ სამხედროები დარაჯობდნენ.

წყალნაღებულის ხავსს ეჭიდებოდაო, — ნათქვამია. ბუნკერში გამომწყვდეული ლავრენტი ბერია კარგად ხვდებოდა, რომ წააგო, საბჭოთა კავშირში კი წაგებულბს ხვრტდნენ. ბერიაც წერილებს წერდა ბრუშოვის, მალენკოვის, მოლოტოვის. ემუდარებოდა, ეპატიმრებინათ და გაეთავისუფლებინათ. მალენკოვს ბერიამ სთხოვა მოხუცი დედის და ცოლ-შვილის მიხედვა. წერილებზე პასუხი მას არ მიუღია. ფაქტობრივად, ეს უკვე მიცვალებულის წერილები იყო, ამა ქვეყნის ძლიერ ლავრენტი პავ-

ნუთები. ამის თაობაზე მოგვითხრობს მაიორი ხიფნიაკი, რომელიც მას მოსკოვის სამხედრო ოლქის ბუნკერში დარაჯობდა. ხიფნიაკი გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლენცისადმი“ მიცემულ ინტერვიუში დაწვრილებით ყვება, როგორ დაამაგრეს ვეებერთელა ფარი, როგორ მიაბეს ზედ ხელებით ბერია.

„დახვრტას ესწრებოდნენ შვერნიკი, მიხაილოვი და კიდევ რამდენიმე ამხანაგი. განაჩენი კი გენერალ ბატიცკის უნდა აღესრულებინა“, — ამბობს ხიფნიაკი.

მაიორი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ბერია ფარზე ხელებით მიაბა. ხიფნიაკმა დააპირა, მისთვის თვალები აეხვია.

— არ გინდა, — უთხრა ბატიცკიმ, — დაე თვალბილული მოკვდეს.

ხიფნიაკმაც პირსახოცი მოხსნა. ამ დროს თვალზე ბერიას ცრემლი ჩამოუვარდა და ხიფნიას ხელზე დაეცა. მაიორს უნებლიეთ გული შეეკუმშა, შეეცოდა ეს სასიკვდილო განწირული კაცი, ახლა ფარზე ასე უმწეოდ და საცოდავად რომ ეკიდა.

— აბა! — წარმოთქვა ბატიცკიმ, — დროა!

ხიფნიაკმა და სხვებმა უკან დაიხიეს. გენერალმა ბატიცკიმ რევოლვერი შემართა. გაისმა გასროლა. ბერიამ ამოიკვნესა და ფარზე ჩამოეკიდა. ექიმმა სიკვდილი დააფიქსირა.

— ბერიას სხეული ბრეზენცში გაახვიეს, — ყვება ხიფნიაკი, — ამ დროს გული წამოვიდა. ის ცივი წყლით მოასულიერეს. გონს მოსულს გენერალი ბატიცკი რუსული გინებით გაუმასპინძლდა.

პეილოზი

„საბრალონი არიან ისინი, ვინც სამშობლოსთვის ბრძოლას დამპყრობლის სამსახურში გადიდებენ ამჯობინებს. ასეთებს თავად მისივე პატრონი გამოიყენებენ და შემდეგ გაუსწორდებიან. შთამომავლობა კი დასწყველის“, — წერს ბულგარელი მწერალი ივან ვაზოვი. ბერიამაც დამპყრობლის სამსახურში გადიდებება ამჯობინა და რუსეთს მართლაც უდიდესი სამსახური გაუწია. სანაცვლოდ ბედმა სამარცხვინო სიკვდილი არგუნა. ქართველმა ერმა ლავრენტი ბერიას მოლაღბე უწოდა.

ფურნალი „ისტორიანი“, 2012 წლის ოქტომბერი, №10/22 ნიკა თიქვაძე

ნატურალური სასუქი ოთახის ყვავილებსთვის



ყვავილები — რა შეიძლება მათზე უკეთესი იყოს? ალბათ, ისევე ყვავილები და ეს რომ რეალურად ასე იყოს, ყვავილების მოვლა არის საჭირო. ბაღებში და აგარაკებზე, როდესაც ყვავილებს უვლიან, სასუქის გამოყენება და ამ გზით მათი გამოკვება არ ავიწყდებათ. მაგრამ, როდესაც საქმე სახლის ყვავილებს ეხება, რატომღაც თვლიან, რომ მხოლოდ წყლის დასხმა და დროდადრო მინის გამოცვლა, სავსებით საკმარისია. მაგრამ, ეს ასე არ არის.

ოთახის ყვავილებსაც ესაჭიროება გამოკვება და კიდევ უფრო ხშირად, ვიდრე ბაღების და აგარაკის ყვავილებს. თუ სახლის ყვავილი დიდ, ფართე ქოთანში არის ჩარგული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას საკმარისი რაოდენობის მინერალური ნივთიერებები აქვს. მცენარეები, ქოთანში ჩარგვიდან, გარკვეული დროის შემდეგ, მინას ფიტავენ და ამიტომ, მათი გამოკვება არის საჭირო.

გამოუცდელი ყვავილების მოყვარულები, ყვავილის კვების პრობლემას, მისი ახალ ქოთანში გადარგვით აგვარებენ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკმარისი არ არის და ახალი მინის შემადგენლობაში არსებული მინერალები, მცენარეს მხოლოდ 2 თვის მანძილზე ყოფნის. ამის შემდეგ, მინა ისევ იფიტება და მცენარე შიმშლის იწყებს.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ყვავილს დამატებითი კვება ესაჭიროება. ამის ნიშანი შეიძლება იყოს: ნელი ზრდა; სუსტი ნაგრძელებული ღეროები; გახუნებული, ცუდად „გაფერადებული“ ან პატარა, გაუნყოფილებული ფოთლები; ყვავილების არ ქონა; ფოთლების გაყვითლება, მათზე ლაქების გაჩენა და ფოთოლცვენა.

თუ ყვავილს, ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან, რომელიმე აღენიშნება, სასწრაფოდ სასუქი უნდა მიანოლოთ, რომლის მომზადება, სახლის პირობებში, ადვილად შეიძლება.

ამ სასუქებიდან რომელიმე აირჩიეთ და თქვენი ყვავილი გადაარჩინეთ.

შაპარი

ყველაზე პოპულარული სასუქი, ნატურალურ სასუქებს შორის, რომელიც ყვავილების საკვებად გამოიყენება, ჩვეულებრივი შაქარი არის. პირველად ვინ გამოიყენა შაქარი სასუქად, ცნობილი არ არის, მაგრამ ცნობილია შედეგი, რომელიც მისი გამოყენების შემდეგ მიიღება:

როგორც ცნობილია, შაქარი ფრუქტოზის და გლუკოზის ნაერთი არის. ფრუქტოზა ყვავილებს არაფერში სჭირდება, მაგრამ გლუკოზა 2 ფუნქციას ასრულებს. ის მცენარის ცხოველმოქმედების (სუნთქვა, სასარგებლო ნივთიერების ათვისება და ა. შ.) ენერჯის წყაროა და შესანიშნავი საშენი მასალა არის, რომელიც რთული ორგანული მოლეკულების ფორმირებისას გამოიყენება.

მაგრამ არის ერთი ნიუანსი: ლუკოზა — მოლეკულების მშენებლობისთვის იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ მისი ათვისება მოხდება. გლუკოზის ასათვისებლად კი, ნახშირორგანო არის საჭირო. თუ ეს გაზი საკმარისი რაოდენობით არ იქნება, მინაზე მოხვედრილი გლუკოზა, ობის ბაქტერიების საკვებად იქცევა და მცენარეს ობი მოეკიდება. ამიტომ შაქართან ერთად, სასუქის მომზადებისას, დამატებითი კომპონენტებიც უნდა გამოიყენოთ.

საჭირო ინგრედიენტები:

სარეველა მცენარე, ჭინჭარი ან თივა, შაქარი — 2 ს. კ.

წყალი

მომზადება: ვიდრე მომზადებას დაიწყებთ, წინა დღეს, ონკანიდან აიღეთ წყალი და გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე 24 სთ, რომ ქლორი აორთქლდეს, აიღეთ პატარა ვედრო ან პატარა და ღრმა თასი, მოათავსეთ შიგნით ბალახი ან თივა და იმდენი წყალი დაასხით, რომ ბალახი დაიფაროს, ასე გააჩერეთ მანამდე, ვიდრე ლპობას არ დაიწყებს ბალახი. ცუდი სუნი რომ აუფა, ნაყენი გადანურეთ, 1 ლ. წყაროს წყალში გახსენით 100 მლ. ბალახის ნაყენი და 2 ს. კ. შაქარი.

ასე მომზადებული სასუქი, შეგიძლიათ დაუხსნათ და მიახსუროთ თქვენს მცენარეს, თვეში ერთხელ.

ყავის ნალევი

ამ სასუქის მომზადება საჭირო არ არის. უბრალოდ, როდესაც ყავას დალევი, მორჩენილი ნალევი მინას შეუერთეთ. ამის შედეგად, მინა გაფხვირდება და ნიადაგის მჟავიანობა გაიზარდება.

ციტრუსები და ბანანი

იმავფორთხის ცედრით, მანდარინის და ბანანის ქერქით ძალიან კარგი და სასარგებლო სასუქის მომზადება შეიძლება.

ფორთხის ცედრით და მანდარინის ქერქით ნაყენის მოსამზადებლად: აიღეთ 1 ლიტრიანი ქილა, 1/3-ზე ჩაყარეთ ციტრუსის ქერქი და შეავსეთ მდლედარე წყლით პირამდე, გააჩერეთ ნაყენი 24 სთ., გადანურეთ მეორე ლიტრიანი ქილაში და შეავსეთ ქილა სუფთა (წყაროს) წყლით.

თითქმის ასევე მზადდება ბანანის ქერქის სასუქი: დაანანურეთ ქერქი და მოათავსეთ ლიტრიანი ქილაში ნახევრამდე, შეავსეთ ქილა წყლით, გააჩერეთ 24 სთ., ამოიღეთ ქერქი ქილიდან და შეავსეთ წყლით.

ციტრუსის და ბანანის ქერქით „ასორტის“ მომზადებაც შეიძლება: თანაბარი რაოდენობით ციტრუსის და ბანანის ქერქი დაანანურეთ და მოათავსეთ 3 ლიტრიანი ქილაში 1/3-ზე, დაამატეთ 2 ჩ. კ. შაქარი, დაასხით თბილი წყალი, ისე რომ ქერქი დაიფაროს, 3 კვირის მანძილზე მოათავსეთ თბილ ადგილზე და დროდადრო შეანჯღრიეთ, მიღებული ნაყენი მაცივარში შეინახეთ.

„ასორტის“ გამოყენება შეგიძლიათ თვეში ერთხელ — 1 ლილი ნაყენი გააზავეთ 20 ლილი წყალში და დაუხსნით მცენარეს.

ნაცარი

კალუმში, ფოსფორი, მაგნიუმი, კალციუმი, რკინა, თუთია და არა მარტო. ამ ყვეფერს ნაცარი შეიცავს და ის საუკეთესო სასუქი არის მცენარეებისთვის.

ნაცრის გამოყენება შეიძლება როგორც მშრალი, ისე ნაყენის სახით.

მშრალი ნაცარი გამოიყენება მცენარის გადარგვის დროს. მას ნიადაგი ურევენ და მასში რგავენ მცენარეს. ხოლო ნაყენის მოსამზადებლად, 1 ს. კ. ნაცარი გახსნათ 1 ლ. წყალში.

საფუარი

საფუარი გამოიყოფა უამრავ სასარგებლო ნივთიერებას, რომლებიც მცენარის ზრდის სტიმულირებას იწვევს.

საფუარის სასუქის მოსამზადებლად: 10 გრ. საფუარს და 1 ს. კ. შაქარს დაასხით 1 ლ. ოდნავ თბილი წყალი (მშრალი საფუარის შემთხვევაში, 10 გრ. საფუარზე, 3 ს. კ. შაქარი და 10 ლ. წყალი არის საჭირო). საფუარის სახეობის მიუხედავად, გააჩერეთ ნაყენი 2 სთ. და შემდეგ, გააზავეთ წყალში პროპორციით 1:5.

სოფ. ზინობიანის საჯარო სკოლის პედაგოგები სამიძმარს უცხადებენ თამარ ჩაჩანიძეს ძმის ნიკო ჩაჩანიძის გარდაცვალების გამო.

იველი გვაქვს წინ საინტერესო ტურისტული სეზონი გველის

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ნეკრესის სამონასტრო ანსამბლი (IV-IX სს.), დავით გარეჯის სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი (VI ს.), უჯარმის ციხე-ქალაქი (VI ს.), ბოდბის გამოქვაბულთა კომპლექსი (XI-XIII სს.), წმ. ნინოს სამონასტრო კომპლექსი, ხირსის მონასტერი, თამარის ციხე (შუა საუკუნეები), სიღნაღის ციხე (შუა საუკუნეები), ხორნაბუჯის ციხე (ადრეული შუა საუკუნეები) და სხვ.

ამიტომ ბუნებრივია, ტურიზმის ხელშეწყობა და განვითარება უკანასკნელ წლებში ჩვენი მოსახლეობის მატრიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. საინტერესოა, რამდენად ეფექტურია ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის საქმიანობა, კონკრეტულად, რა ფუნქცია აკისრია. ამის შესახებ ყვარლის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლელა ხარბაშვილი გვესაუბრა: — ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიზანია ჩამოსუფი და ადგილობრივი ტურისტის სრულყოფილი ინფორმირება ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტის შესახებ; ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა; ჩვენი ტურისტული პოტენციალისა და ახალი პროდუქტის პოპულარიზაცია, კერძოდ, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი ეხმარება ვიზიტორებს ტურისტული მარშრუტის შედგენაში, მათი ინტერესის და ქვეყანაში დარჩენის ხანგრძლივობიდან გამომდინარე. ასევე, აწვდის ინფორმაციას კახეთის რეგიონში მდებარე ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ

— სარეკლამო-პრეზენტაციო მასალების გამოყენებით განვითარებული ინფორმაციის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, კურორტების და სხვა ღირსშესანიშნავობების შესახებ. ამის გარდა, საჭიროების შემთხვევაში ვებმარშრუტების მოძიებაში. ცენტრის მონაცემთა ბაზა მოიცავს სხვადასხვა სახის ტურისტული ობიექტების (განათლების და კვების ობიექტები, მუზეუმები, გალერეები და ა.შ.) შესახებ დეტალურ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ აღნიშნული ნებისმიერი სახის მომსახურება არის უფასო. — კახეთის რეგიონში ძირითადად რომელ ტურისტულ მიმართულებებს ენიჭება პრიორიტეტი და აქედან რომელია ყველაზე პოპულარული? — პრიორიტეტულად შეიძლება რამოდენიმე მიმართულება ჩაითვალოს. თუ გავითვალისწინებთ აქ არსებულ ბუნებრივ რესურსებს (ტყეები, მდინარეები, ტბები, შეიძლება მინერალური წყლებიც), გაზაფხულის განმავლობაში არ წყდება ტურისტების ნაკადი ყვარლის ტბაზე. თუმცა, ყვარლში ყველაზე პოპულარული მაინც ღვინის ტურებია. ვიზიტორებს აინტერესებთ ღვინის დაყენების — დანწევების, დუღილის, და შენახვის წესის ქართული ტექნოლოგია. მის გვერდით კი თუ ქართული შოთი და ყველიც გაჩნდება, მით უკეთესი.

ყვარლში ღვინის მწარმოებელი არაერთი ქარხანაა, რომლებიც ღვინეულად მასპინძლობენ უცხოელ სტუმრებს მრავალფეროვანი ღვინეობით.

კერძოდ ცნობისათვის — ყვარლში, ალაზნის ველის განაპირა მდებარეობს „მეღვინეობა ხარებას“ უნიკალური ღვინის საცავი — გვირაბი. გვირაბი კავკასიონის კლდის მასივშია გამოკვეთილი, იგი 1962 წელს სპეციალურად ვაზისა და ღვინის მსოფლიო კონგრესისთვის გაიხსნა და ამჟამად „ხარებას“ ღვინის საცავს წარმოადგენს. აქ რამდენიმე ათეული წელი ინახებოდა კახეთის რეგიონის საუკეთესო ღვინეები. მასში მთელი წლის მანძილზე შენარჩუნებულია ბუნებრივი ტემპერატურა 12-14 გრადუსი, ხოლო ტენიანობა 70%-ს შეადგენს, რაც იდეალურ პირობას ქმნის

ღვინის შენახვისა და დაძველებისათვის. გვირაბში წარმოდგენილია ორი მთავარი და 13 მათი დამაკავშირებელი 500მეტრიანი გვირაბი. აღნიშნული კონსტრუქციის საერთო სიგრძე 7.7 კმ-ია. გვირაბის ორივე შესასვლელს თავისი დაიშვლება აქვს, პირველი ენ ტურისტული მნიშვნელობისაა, ხოლო მეორე ინდუსტრიული, სადაც დიდი რაოდენობით მეტალისა და მუხის ჭურჭელში ხდება ღვინის შენახვა, სოფლა და დავარგება. აქვე არის ბოთლირებული ღვინის საცავი, სადაც „მეღვინეობა ხარებას“ 25 000 ბოთლზე მეტი საუკეთესო ხარისხის ღვინი ინახება.

2011 წელს „მეღვინეობა ხარებას“ ღვინის საცავის გარშემო განვითარდა ტურისტული ინფრასტრუქტურა: დიდი რეკრეაციული პარკი მდინარითა და უძველესი ქვევრებით, ძველი ქართული წყლის ნიქვილი, ქართული ტრადიციული პურის საცობი — თონე, ჭაჭის სახდელი, ძველი მარანი საწნაველითა და ქვევრებით, საკლამბო, ფაცხები და მაყალი. სტუმრებს საშუალება ეძლევათ სადგომოვანო „მეღვინეობა ხარებას“ 30 — ზე მეტი დასახელების ღვინო, გამოხადონ ჭაჭა, გამოაცხონ პური, ამოავლონ ჩურჩხელი, შევან მწვადი, მონანილონა მიიღონ რთველი და დანურონ ღვინო. ტურისტულ კომპლექსში შედის ასევე პრემიუმ კლასის რესტორანი „საფერავი“, რომელიც მთაზეა განთავსებული და ღვინის საძველეს ლიფტით უკავშირდება. რესტორანი გათვლილია 300 სტუმარზე და მის მთავარ ასპექტს ქართული ღვინო და ტრადიციული ქართული კერძები წარმოადგენს. რესტორანი არქიტექტურულად მაქსიმალურადაა შეინარჩუნებული შენახვასთან, აქ არის ჩანჩქერი, რესტორნის ბაღი მრავალწლიანი ხეებით, მთის მდინარე, რესტორნის კომპლექსი და ვერანდა, საიდანაც იშლება ალაზნის ველისა და ყვარლის ვენახების ულამაზესი ხედი.

ასევე, „ქინძმარაულის მარანი“ გათავაზობს, რომ თქვენ თავად იხილოთ, თუ როგორ მზადდება საუკეთესო ქართული ღვინო. აქ შესაძლებელია იხილოთ 420-ზე მეტი უძველესი ვაზის ჯიშები, დაათვალიეროთ ქინძმარაულის მარნის ღვინის ქარხანა, დააგემოვნოთ ღვინო როგორც ბოთლის, ასევე ცისტერნის და აგრეთვე ნახოთ ჭაჭის სახდელი ქარხანა. აქვე იხილავთ რესტავირებულ უძველეს სამების ტაძარს. — ლელა, რატომ უნდა, ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია შესაბამისი ინფრასტრუქტურის მონაცემი. რა მდგომარეობაა ამ მიმართებით?

— ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით სხვადასხვა პროექტები ხორციელდება. არსებობს სასტუმროების ფართი არჩევანი. კეთილმოწყობილია დასასვენებელი კომპლექსები. აქ ყველანაირი ტიპის სასტუმრო ფუნქციონირებს. შესაბამისად, ისინი მომსახურების დონის მიხედვითაც განსხვავდებიან. ე. ი. შესაძლებელია ყველანაირი კატეგორიის ტურისტული დაკმაყოფილდეს. სასტუმროები აქტიურად თანამშრომლობენ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და საჭირო კონსულტაციებს იღებენ. მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ტაქსის მძღოლებს საბაზისო ინგლისურსა და მომსახურების უნარ-ჩვევებში ტრენინგები ჩაუტარდათ.

ყვარლში, ისევე როგორც ყველგან ტურისტული აქტივობა სეზონურია. იწყება მარტის თვიდან და სექტემბერ ოქტომბერში პიკს აღწევს. შედარებით ნაკლები ტურისტია ზამთრის სეზონზე. გაზაფხულის დადგომასთან ერთად აქტიურ ფაზაში შედის ტურისტული სეზონი. ამიტომ ვცდილობთ უკეთ მომზადებულები შევხვდეთ ვიზიტორებს. ველოდებით ახალ საინფორმაციო მასალას, განახლებულ ყვარლის რუკას. იმედი გვაქვს, წინ საინტერესო ტურისტული სეზონი გველის. **ია გიგიაშვილი, გაზეთი „ყვარელი“**

ს კ ო რ ო უ ლ ა ს კ ა რ ი ე ზ ო ბ ე ბ ე ე ჭაჭუკია მოჭიდავეებმა გვასახელეს თავისუფალი ჭიდაობა

12-13 მარტს, ქ. თბილისში ჩატარდა ა. მ. ისურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ჭაჭუკ მოჭიდავეთა შორის. ნარმატებით იასპარეზეს ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა. 46 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ყვარლის 1 საჯარო სკოლის მოსწავლემ ბესიკ სეფაშვილმა. 63 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა გიორგი დოღმაზაშვილმა (მწვრთნელები: ვანო ჭანტურიძე, მ. როზომამაშვილი, გ. მეტრეველი), ხოლო 26 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა დავით ჭუნაშვილმა (მწვრთნელები: ბ. სამიტაშვილი, გ. ჭუნაშვილი), ასევე 42 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა რობა ავაზაშვილმა (მწვრთნელი ს. გვრიტიშვილი).



ალექსო ქაჭანიძე



დედის დღე მიულოცეს...

3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით, ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დარბაზში გაიმართა ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ჯემალ შავერდაშვილი. მან დედის დღე მიულოცა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებს, რომელიც საგანგებოდ იყვინენ მოწვეულნი ღონისძიებაზე დასასწრებად.

გაზაფხულის ეს პირველი დღესასწაული გაალამაზეს ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა და შემოქმედებებმა ჯგუფებმა.



გვირის დედაც ხომ გვირია!

3 მარტი ხომ დედების დღეა. გვახსენდება ვაჟას სიტყვები: „ალამაზად შვილის გამზრდელი დედა გვიცვინა ღმერთად“. თქვენ სწორედ „ალამაზად გამზრდელი დედა ბრძანდებით, რომლის შვილმაც მრავალი დედა გადაარჩინა იმ საშინელ მწუხარებას, შვილის სიკვდილი რომ ჰქვია. სამწუხაროდ, დათმ მხოლოდ თქვენი დაცვა ვერ შეძლო ამ გაუსაძლისი ტკივილისაგან და საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

დათოს მაგივრად მარტის დღეები გვინდა ჩვენ, მისი სახელობის სკოლის მეექვსე კლასელებმა მოვილოცოთ. გვინდა სულ ცოტათი მაინც შეგემსუბუქოთ გაუსაძლისი მწუხარება და თქვენს სახეზე ღიმილი დავინახოთ. ვიცით, ეს ძალიან რთულია, რადგან ახლა თქვენი შვილის ხელით მორთმეული თითოეული ყვავილი ცრემლით გახსენდებათ. ვიცით ეს და გვინდა ყველას გასაგონად გითხრათ, რომ თქვენი შვილი ჩვენს გულში მუდამ იცოცხლებს, რადგან გვირები არ კვდებიან, ისინი მარად ცოცხლობენ.

ჩვენ კი, თქვენთვის შეიძლება უცნობი ბავშვები, უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით გესალმებით და სიყვარულით მოგვიანებით, მაგრამ მაინც გილოცავთ დედის დღეს, რადგან თქვენ გვირის შვილის აღმზრდელი ბრძანდებით და გვირის დედაც ხომ გვირია! სწორედ ამიტომ გილოცავთ, გილოცავთ დედის დღეს!

დავით ელიზბარაშვილის სახელობის შიღის პირველი საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები.

P.S. გაზეთ „ყვარლის“ რედაქციის კოლექტივს, დავით ელიზბარაშვილის სახელობის შიღის პირველი საჯარო სკოლა უდიდეს მადლობას გიხდით გვირის შესახებ დანერგილი წერილების უანგაროდ გამოქვეყნებისათვის.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე.	დირექტორი ალექსანდრა გიგიაშვილი მონადგელი ნუგზარ ღონიაშვილი	პასუხისმგებელი მდივანი ია გიგიაშვილი კორესპონდენტი დალი ტატულიშვილი	რედაქციის მისამართი: ქ. ყვარალი, კუდიგორის №2 საკონტაქტო ტელეფონი: 22-01-86
--	--	--	--